ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 12 სექტემბერი, 2016 №216 (7142) ფასი: 50 თეთრი

## ბათუ ქუთელია: „ამერიკული სამხედრო ბაზის საქართველოში ყოფნა შეიძლება საჭირო გახდეს“

გვ.6



# „თამარ ჩუგოშვილი იუსტიციის მინისტრი გახდება“



გვ.2

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ღარიბაშვილის წასვლაში ამ ქალმა დიდი როლი ითამაშა“




ჩუგოშვილი დაუპირისპირდა კვირიკაშვილს. მან განაცხადა, რომ მხარს არ დაუჭერს ოჯახის დეფინიციასთან დაკავშირებით კონსტიტუციაში ჩანაწერის გაკეთებას. „ოცნების" ერთ-ერთი მთავარი დაპირება საკონსტიტუციო ცვლილებაა. ჩუგოშვილის განცხადება „ოცნებისა" და კვირიკაშვილის წინააღმდეგ წასვლაა. ეს აუცილებლად დააკარგვინებს „ოცნებას" მხარდამჭერებს

## ხათუნა ლაგაზიძე: „ბურჭულაძის პარტიას კუბლაშვილი აკონტროლებს“



გვ.3



## პაატა ბურჭულაძე: „პარლამენტში უნდა შევიდნენ საქმის მკეთებლები და არა მოლაპარაკეები“



## დავით დარჩიაშვილი: „ოცნება“ არჩევნების ჩაშლას აპირებს“

გვ.4

## მაია ნიკოლეიშვილი: „სამი დღე ჯოჯოხეთში ყოფნა მომიხდა“

გვ. 3




„ჰეროკრატია“ საკუთარ თავზე გამოვცადე“

## კახა გოგოლაშვილი: „არსებობს შანსი, პოსტსაარჩევნო კოალიცია შეიქმნას“

გვ.4



„საქართველოს ამოცანა შავი ზღვის აკვატორიის დაცვაში ნატოს ეგიდით მონაწილეობაა“

ISSN 1987-9385

## მაგთიკომის მხარდაჭერით ქართველი მხატვრის ჯემალ კუხალაშვილის ალბომი გამოიცა

„კომპანია ქართული კულტურის პოპულარიზაციის ტრადიციას არც მომავალში დაარღვევს...“ გვ. 5

შორენა მარსაგიშვილი

# „თამარ ჩუგოშვილი იუსტიციის მინისტრი გახდება“

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ღარიბაშვილის წასვლაში ამ ქალმა დიდი როლი ითამაშა“






**ვინ გაუფუჭა საქმე ირაკლი ღარიბაშვილს, სად უშვებენ თეა წულუკიანს, ვინ უპირისპირდება „ოცნებიდან" გიორგი კვირიკაშვილს? – ამ თემებზე „ახალ თაობას" უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.**

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– „ოცნების“ მხარდამჭერებს ძალიან გაუცრუვდათ იმედი, როდესაც ნახეს, რომ მმართველმა ძალამ საარჩევნო სიაში მეოთხე ნომრად ჩაწერა თამარ ჩუგოშვილი, რომელსაც ქართველების სისხლში აქვს ხელები გასვრილი და 2011 წლის 26 მაისის შემდეგ მე მას თამარ როდიონოვად მოვიხსენიებ.

2011 წლის 26 მაისს ერთადერთმა მან „გააპრავა“ ის საშინელი დარბევა. ჩემთვის ცნობილია, რომ ნაციონალ;ებმა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებსაც შესთავაზეს მსგავსი განცხადების გაკეთება, მაგრამ ყველამ უარი თქვა. ერთადერთი, საიას თავმჯდომარე დათანხმდა ამას.

***– რა თქვა ამისთანა, რომ მის განცხადებას დარბევა მოჰყვა?***

– მისი თქმით, აქცია, რომელიც რუსთაველზე მიმდინარეობდა, არასანქცირებული იყო. მანამდე საქართველოში აშშ-ის ყოფილმა ელჩმა ჯონ ბასმა აუნთო დარბევას შუქი. მათი განცხადებები რომ არა, სააკაშვილი რუსთაველზე იმ სასაკლაოს მოწყობას ვერ გაბედავდა. ბასიც და ჩუგოშვილიც არიან როდიონოვები. მინდა შეგახსენოთ, რომ 1989 წლის 9 აპრილს როდიონოვს პირადად არ მიუღია დარბევაში მონაწილეობა, მაგრამ ყველაფერი მის ბრძანებას მოჰყვა.

***– ამ ბრალდებებით სხვებიც გამოვიდნენ, მაგრამ ჩუგოშვილი კატეგორიულად უარყოფს, რომ მის განცხადებას მოჰყვა დარბევა. ამბობს, რომ ის თავად უპირისპირდებოდა სააკაშვილს.***

– სააკაშვილს მხოლოდ იმის შემდეგ დაუპირისპირდა, რაც ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა პოლიტიკაში. მანამდე დუმდა. ახლა ვეკითხები, სად იყვნენ მაშინ საია და ჩუგოშვილი, როცა ადამიანებს ქუჩებში ხვრეტდნენ? სად იყვნენ მაშინ, როცა პატიმარი არქანია ქვეყნის გასაგონად იძახდა, ციხეში გამაუპატიურესო? მაშინ ღრმა ძილით ეძინათ.

ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, არც „ოცნებაში“ მოსწონთ დიდად ჩუგოშვილი, მაგრამ მას რეკომენდაცია ამერიკის ელჩმა გაუწია. ეს ინფორმაცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში მყოფმა ერთმა ქალმაც დაადასტურა.

***– რომელმა ქალმა დაადასტურა?***

– ენძელა მაჭავარიანმა ტვ პირველის ეთერში გააკეთა ასეთი განცხადება. მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილს თამარ ჩუგოშვილის მრჩევლად დანიშვნა რიჩარდ ნორლანდმა ურჩია. ნორლანდი ისე უბრალოდ არ ურჩევდა პრემიერს, მრჩევლად ესა და ეს ადამიანი აიყვანეო. ივანიშვილი ამ გადაწყვეტილებას თავად არავითარ შემთხვევაში არ მიიღებდა.

***– რატომ გგონიათ, რომ არ მიიღებდა?***

– მან „გააპრავა“ 26 მაისის დარბევა, ივანიშვილმა კი სწორედ ამ დარბევის შემდეგ გადაწყვიტა პოლიტიკაში მოსვლა. ჩუგოშვილი მასაც დაუპირისპირდა და ამომრჩევლების მოსყიდვაში დაადანაშაულა. ამის გარდა, ის ხშირად უპირისპირდებოდა ეკლესიას. ყოფილი პრემიერი არაა ისეთი ადამიანი, ასეთი სიტყვები „გაატაროს“. მას არ უნდოდა ჩუგოშვილის წაყვანა, მაგრამ ნორლანდის რჩევას გაგებით მოეკიდა.

„ქართული ოცნების“ სიაში მეოთხე ადგილზე ჩუგოშვილი ამერიკელების მითითებით ჩაწერეს. ეს ქვეყანა დაინტერესებულია, რომ „ოცნებამ“ არჩევნები წააგოს და ამიტომაც დაუჭირეს მხარი სიაში ჩუგოშვილისა და მისნაირი ხალხის ჩაწერას.

ექსკლუზიურად მინდა ვუთხრა „ახალ თაობას“, რომ სწორედ ამ ქალბატონმა შეასრულა დიდი როლი ირაკლი ღარიბაშვილის წასვლაში.

***– იქნებ დააკონკრეტოთ? ღარიბაშვილი ამბობს, წასვლის შესახებ გადაწყვეტილება თავად მივიღეო.***

– ღარიბაშვილი ასეთ განცხადებას მხოლოდ იმიტომ აკეთებს, რომ ქვეყნის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება არ სურს. „ახალ თაობასთან“ ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ მან გადადგომამდე რამდენიმე დღით ადრე საახალწლო მიღებაზე მოსაწვევები გააგზავნა. მას წასვლა რომ ჰქონოდა გეგმაში, მოსაწვევებს თავისი სახელით არავის გაუგზავნიდა.

რაც შეეხება ამ პროცესში ქალბატონ თამარის ჩართულობას, როგორც უკვე გითხარით, ჩუგოშვილი აშშ-ის საელჩოსთან არის დაახლოებული. ის ხშირად სტუმრობდა საელჩოს წარმომადგენლებს და ირაკლი ღარიბაშვილზე მიჰქონდა „დანოსები“, უმტკიცებდა, რომ ღარიბაშვილი იყო პრორუსული ძალა და ეკლესიას უჭერდა მხარს, ამერიკელებს უმტკიცებდა, რომ ღარიბაშვილი იყო ნაციონალისტი და ეროვნული იდეების გამტარებელი. ამ „დანოსებით“ საიას ყოფილმა თავმჯდომარემ შექმნა იმის საფუძველი, რომ ღარიბაშვილი წასულიყო.

სულ ახლახან ის ღიად დაუპირისპირდა მოქმედ პრემიერ გიორგი კვირიკაშვილსაც. მან პირდაპირ განაცხადა, რომ მხარს არ დაუჭერს ოჯახის დეფინიციასთან დაკავშირებით კონსტიტუციაში ჩანაწერის გაკეთებას.

ძალიან საგანგაშოა, როცა საარჩევნო სიის მეოთხე ნომერი ამ განცხადებას არჩევნებამდე ერთი თვით ადრე აკეთებს. „ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი დაპირება საკონსტიტუციო ცვლილებაა. ჩუგოშვილის განცხადება „ოცნებისა“ და კვირიკაშვილის წინააღმდეგ წასვლაა. ეს აუცილებლად დააკარგვინებს „ოცნებას“ მხარდამჭერებს.

***– მხარდამჭერებს რატომ დააკარგვინებს?***

– იხ გახლავთ სიის მეოთხე ნომერი და ერთ-ერთი ლიდერი. როდესაც ლიდერი ერთ-ერთ მთავარ დაპირებაზე ამბობს, მხარს არ დავუჭერო, ცხადია, ამომრჩეველი დაიბნევა და განაწყენდება.

მან კიდევ ერთი შემაშფოთებელი განცხადება გააკეთა ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ მხარს უჭერს მსუბუქი ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციას. ეს დაუშვებელია. ექიმების დასკვნით, მსუბუქი ნარკოტიკების მომხმარებლები ნელ-ნელა მძიმე ნარკოტიკების მომხმარებლები ხდებიან. ჩვენ ისედაც მომაკვდავი ერი ვართ და ასეთი რამე დაუშვებელია.

ჩუგოშვილთან დაკავშირებით კიდევ ერთი ექსკლუზივი მინდა მოგაწოდოთ. სახელისუფლებო წრეებში ძალიან აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ ის იქნება იუსტიციის მინისტრი.

***– თეა წულუკიანს რას უპირებენ?***

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ის საფრანგეთში საქართველოს ელჩად დაინიშნება.

***– ეს ოფიციალურ დონეზეა გადაწყვეტილი თუ მხოლოდ ვარაუდებია?***

– „ქართულ ოცნებაში“ ეს თემა აქტიურად განიხილება. კერძო საუბრებში ყველა ადასტურებს ამ ინფორმაციას.

***– სახელისუფლებო წრეებში იმასაც ამბობდნენ, რომ თამარ ჩუგოშვილი მომავალი პარლამენტის თავმჯდომარე იქნებოდა.***

– ეს საკითხი მართლაც აქტუალურად განიხილებოდა. იქიდან გამომდინარე, რომ ამ ადამიანს აქვს ფიცხი ხასიათი, ის პარლამენტის თავმჯდომარეობას ვერ გაქაჩავდა. მას ძალიან უჭირს განსხვავებული მოსაზრებების მოსმენა. ამიტომაც გადაწყვიტეს, იუსტიციის მინისტრად გაუშვან. მისი ამ თანამდებობაზე დანიშვნა კატასტროფა იქნება.

ის ამ უწყებაში იმავეს გააკეთებს, რაც უჩა ნანუაშვილმა სახალხო დამცველის აპარატში მოიმოქმედა – სამსახურიდან გაყარა ყველა დეპარტამენტის უფროსი. იუსტიციის სამინისტროდან ყველას გაყრის და იქაურობას ასოებით (არასამთავრობოებით) აავსებს.

„ქართულმა ოცნებამ“, სხვა რამდენიმე პარტიის მსგავსად, საარჩევნო სია აშშ-ის საელჩოსთან შეათანხმა. სიის ფორმირებისას გადამწყვეტი სიტყვა ეთქმოდა ჩუგოშვილს. აშშ-ის საელჩოში ყველა ადამიანზე არ აქვთ

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# პრეზიდენტმა ირინა იმერლიშვილი და გიორგი კვერენჩხილაძე საკონსტიტუციოს მოსამართლეებად დანიშნა





გიორგი მარგველაშვილმა უშიშროების საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილი და პრეზიდენტის ყოფილი საპარლამენტო მდივანი გიორგი კვერენჩხილაძე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებად დანიშნა.

პრეზიდენტის განცხადებით, ორი მაღალი კვალიფიკაციის მქონე იურისტი ქვეყანას წინსვლაში დაეხმარება:

– დარწმუნებული ვარ, რომ ამ რთულ პროცესში, რომელიც ჩვენ კიდევ წინ გვაქვს გასავლელი, პროცესში, რომელიც არის სწორედ სახელმწიფოსა და დემოკრატიული საზოგადოების გაძლიერების რთული გზა, ორი ძალიან მაღალი კვალიფიკაციის იურისტი, მაგრამ არა მხოლოდ იურისტი, ძლიერი და პრინციპული ადამიანები, ეს ორივე მახასიათებელი ისევე უნდა ახასიათებდეს მოსამართლეს, როგორც მაღალი კვალიფიკაცია, გააძლიერებენ ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას და დაიცავენ ადამიანის უფლებებს ამ უმნიშვნელოვანეს პერიოდში, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

# ვინ გახდება უშიშროების საბჭოს ახალი მდივანი?



უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტზე „საქართველოს ევროპელი დემოკრატების“ ლიდერ პაატა დავითაიას, ნატოში საქართველოს ყოფილ ელჩ ლევან დოლიძისა და ხათუნა ლაგაზიძის კანდიდატურები განიხილება.

ლევან დოლიძეს ასევე ეკავა თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობა, როცა თავდაცვის უწყებას ირაკლი ალასანია ხელმძღვანელობდა.

როგორც ნიუპოსტისთვის გახდა ცნობილი, სამივე კანდიდატურის გარშემო მიმდინარეობს კონსულტაციები. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში კი აცხადებენ, თუ ვინ დაიკავებს ირინა იმერლიშვილის ადგილს, ამის შესახებ კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

ინტერპრესნიუსი ირინა იმერლიშვილს ესაუბრა, რომელიც ირწმუნება, რომ უშიშროების საბჭოს მდივნის კანდიდატურის შესახებ მისთვის არაფერია ცნობილი და ის მოვალეობის შესრულებას თვის ბოლომდე განაგრძობს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მაია ნიკოლეიშვილი: „სამი დღე ჯოჯოხეთში ყოფნა მომიხდა“

## „ჰეროკრატია“ საკუთარ თავზე გამოვცადე“

ნონა ცაბაძე

**– „ჰეროკრატია" მე საკუთარ თავზე გამოვცადე, თუმცა ეს ყველაფერი ჩემთვის მაინც „ეკრანული" იყო. ეს კინო ძალიან ბევრს უკვე ნანახი და საკუთარ ტყავზე აქვს გამოცდილი.**

ასე იწყებს „ახალ თაობასთან“ საუბარს სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი.

***– გოგა ხაინდრავას ფილმს დიდი განხილვა მოჰყვა საზოგადოებაში. ბევრი ამბობს, რომ მწარე რეალობა გაახსენდათ, ბევრი ამბობს, რომ უკუშედეგი ექნება ამ ყველაფერს, რომ „ოცნება“ ამით ფონს ვერ გავა და ასე შემდეგ. როგორია თქვენი შეფასებები?***

– მე დღეს პოლიტიკურ საკითხებში საერთოდ არ ვერევი, დაკავებული ვარ მხოლოდ ჩემი ექსპერტიზებით. განცხადებებსაც არ ვაკეთებ. „ჰეროკრატიამ“ განმიახლა ძველი ტკივილი, მიუხედავად იმისა, რომ ერთი წელი ძალიან სერიოზული ორგანიზაციის დახმარებით რეაბილიტაცია გავიარე.

***– ფსიქოლოგიური?***

– დიახ. ზუსტად იმ მოგონებებისა და სიმწრის დასაძლევად. ფსიქოლოგები ძალიან დამიდგნენ გვერდში და მე მათი ყოველთვის მადლობელი ვიქნები. მიუხედავად ამისა, მე რომ „ჰეროკრატია“ ვნახე, ჩემში გაცოცხლდა ეს ყველაფერი, ოღონდ ტრავმის სახით არ გაცოცხლდა. ეს ფილმი უნდა ნახონ ადამიანებმა და აქედან ბევრი საკუთარ ისტორიას გაიხსენებს.

***– მერე, ეს საჭირო იყო?***

– ალბათ, ეს შეფხიზლება საჭიროა. მე არ გამივლია ის საშინელებები, რაც უამრავმა, ათეულათასობით ადამიანმა გაიარა საქართველოში. მე „ჰეროკრატიის“ „ჟურნალი“ გავიარე. ზაზა დავითაია წერდა, ეს ფილმი უკვე ნანახი მაქვსო. უამრავმა ადამიანმა ეს ფილმი ნახა, საკუთარ კანზე იგრძნო, საკუთარ ტყავზე. მე „ჟურნალი“ ვნახე მხოლოდ. თუმცა ეს „ჟურნალიც“ კი ჩემთვის და ჩემი ოჯახის წევრების რამდენიმეწლიანი დანგრევისთვის საკმარისი იყო.

***– გვესმის შეფასებები, რომ ეს ყველაფერი გაზვიადებულია და რეალურად ასე არ ყოფილა. ამას რით უპასუხებთ?***

– რა არის მოგონილი? ის, რაც ჩემი თვალით ვნახე?! ის ხომ ნამდვილად იყო. უბრალოდ, ამ ადამიანებს მართლა ვერ წარმოუდგენიათ, რა შეიძლება ხდებოდეს ადამიანის თავს და რა შეიძლება მათ გვერდით მყოფ ადამიანებს გადაეტანათ. მოდის პარტია, რომელიც ამბობს, ჩვენ შევიგნეთ ჩვენი შეცდომები, ჩვენ ამას გავაკეთებთო. რა შეიგნეს?! რა უნდა გააკეთო, როცა შენ გვერდით მყოფი თანამემამულის ტკივილი ვერ გაგიგია და გამოგონილს ეძახი ამას. ეს არის ტესტი.

***– რისი ტესტი, რომ არ ნანობენ?***

– ზუსტად ამ განცხადებების შემდეგ მე ვთქვი, რომ გარანტიას ვიძლევი, ჩემი არცერთი ახლობელი ნაციონალურ მოძრაობასა და მასთან ასოცირებულ არცერთ პარტიას ხმას არ მისცემს, ჩვენგან ერთ ხმასაც ვერ მიიღებენ! იმიტომ კი არა, რომ მე პოლიტიკურად ვებრძვი, არამედ იმიტომ, რომ გამოგონილს ეძახიან იმას, რაც მე ნამდვილად ვიცი, რაც თავს გადამხდა.

***– სანდრა რულოვსმაც ხომ განაცხადა, ჩვენ აღარ ვიძალადებთო. ეს აღიარება არ იყო?***

– ძალიან დიდი ბოდიში და ამ ტუჩებდაპრუწული ლაწირაკი გოგოების აღიარება არაფერში მჭირდება პირადად მე! მაგრამ იმას მაინც ნუ ბედავენ, თქვან, რომ ეს გამოგონილია.




***– კრიტიკა საკმაოდ დიდია ამ ფილმის მიმართ.***

– რატომღაც უმეტესობა აფასებს „ჰეროკრატიას“, როგორც ფილმს. მე ფილმის რეჟისურას ნამდვილად ვერ შევაფასებ, არ ვარ ამის სპეციალისტი. მე მას ვუყურებ, არა როგორც ფილმს, არამედ, როგორც ამბავს, რომლის პატარა ნაწილი მეც გადავიტანე. ფილმზე რეაქციები უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიდრე თავად ფილმი. ფილმი ასრულებს თავის ფუნქციას, რომ ზუსტადაც გამოიწვიოს საზოგადოებაში გარკვეული ემოციები.

***– როდესაც საუბრობენ ამ ფილმის უკურეაქციაზე, რა შეიძლება იყოს უკურეაქცია?***

– უკურეაქცია ვის მიმართ?! სწორედ მათ მიმართ იქნება ეს უკურეაქცია, ვინც ამაზე საუბრობს. ამის ეშინიათ და იმიტომ აფრთხილებენ, უბრალოდ, ცდილობენ, ვექტორს შეუცვალონ მიმართულება.

***– თქვენს ისტორიას ვერ მოგვიყვებით?***

– მე მხოლოდ სამი დღე მომიწია იმ ჯოჯოხეთში ყოფნამ, შემდეგ ექვსი წელი ვიყავი სახლში უმუშევრად და მხოლოდ არსებობის უფლება მქონდა. წართმეული საქმიანობის უფლება, წართმეული გარეთ გამოსვლის უფლება. თუმცა სწორედ ამიტომ ვამბობ, ჩემი „ჟურნალი“ იყო-მეთქი, რაც იქ ხალხმა გადაიტანა. თუმცა ესეც არ ამოდის ჩემი მეხსიერებიდან. სერიოზული რეაბილიტაცია დამჭირდა, განა იმიტომ, რომ დამევიწყებინა, უბრალოდ, არ გავბოროტებულიყავი და ნორმალური ცხოვრება გამეგრძელებინა.

ამ ფილმმა ჩემი სათქმელი და ათიათასობით ადამიანის სათქმელი თქვა. შეიძლება, ეს ბევრისთვის შვებაც იყოს, ხოლო ჭრილობაზე მარილს ის ადამიანები გვაყრიან, ვინც ამ პრობლემის გაუფასურებას ახდენს!

***– თქვენ და კიდევ სხვები სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ბრალდებით დაგაპატიმრეს. შეგიძლიათ ამ დღის გახსენება?***

– დღესაც ძალიან მიჭირს ამის გახსენება. ხელბორკილებით გამომიყვანეს სახლიდან. კიბეზე ჩამოვდიოდი, უკან მივიხედე და ჩემს მეუღლეს მიხუტებული ჩვენი 11 წლის ანა დავინახე. მათი სახეები ახლაც თვალწინ მიდგას. გარშემო დაახლოებით 15 ადამიანი იყო, ნიღბიანები და უნიღბოები. ალბათ, იმ ბიჭებს მართლაც ეგონათ, რომ სახელმწიფო გადამტრიალებლებს აპატიმრებდნენ. თუმცა, ვინც დაგეგმა, იმ ნაძირალამ ხომ იცოდა, რომ ეს ყველაფერი ტყუილი იყო?

თურმე ერთდროულად მოხდა ყველაფერი. თბილისში 20-მდე ოჯახი ერთდროულად ააწიოკეს. მანქანაში ისე ჩამსვეს, არავის უთქვამს, სად მივდიოდით. ეს ხომ სისულელეა-მეთქი, მთელი გზა ვიმეორებდი. ისე მატარეს, არავინ არაფერს მიხსნის. ბოლოს მივედით ნანგრევად ქცეულ ტერიტორიაზე, ტრამვაი-ტროლეიბუსის ყოფილ პარკში, სადაც უამრავი შავფორმიანი და ნიღბიანი ადამიანი დგას, ავტომატებით, ჩართული სირენებით. სირენების კივილ-კივილით მიგვიყვანეს მოდულის შენობაში. ჩვენ წინ უამრავი კამერა, ვერტმფრენები, გეგონებოდათ, ომი დაიწყო. ჩამიყვანეს სარდაფში და ჩემ უკან მძიმე კარი დაიკეტა.

***– შემდეგ რა მოხდა?***

– სამი დღის შემდეგ მოდიან და მეუბნებიან, იცით, რა? ჯობს, აღიაროთ. თქვენი შვილი მოსკოვშია, მარტოა, მანქანით სიარული უყვარს. მხოლოდ შვილებზე საუბრობდნენ. რად მინდოდა მეტი განმარტება? ისედაც გადასარევად მივხვდი, რომ მე ფიზიკური საფრთხე არ მელის, მაგრამ შესაძლოა ეს საფრთხე ჩემს შვილებს დაემუქროს. ძალიან კარგად ვიცნობდი მიშას გარემოცვას და ძალიან კარგად ვიცოდი, რაზე იყვნენ წამსვლელები. დღემდე ძალიან მძიმეა ჩემთვის ამ ყველაფრის გახსენება. ძალიან დიდი მადლობა, რომ ამ ყველაფრის ამოთქმის საშუალება მომეცით. ეს ჩემთვის ძალიან დიდი შვებაა.

# ხათუნა ლაგაზიძე: „ბურჭულაძის პარტიას კუბლაშვილი აკონტროლებს“

## პაატა ბურჭულაძე: „პარლამენტში უნდა შევიდნენ საქმის მკეთებლები და არა მოლაპარაკეები“



– პაატა ბურჭულაძე სიის დაკომპლექტების პროცესში საქართველოდან გაიქცა, – განაცხადა ბლოკ „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ ყოფილმა წევრმა ხათუნა ლაგაზიძემ რუსთავი 2-ის ეთერში 10 სექტემბერს.

მისი თქმით, პაატა ბურჭულაძის პარტიის ნარჩენებიდან სიაში მოხვდნენ მხოლოდ ისინი, ვინც პავლე კუბლაშვილის ლოიალობა დაიმსახურა.

– სია დგებოდა, საბოლოო ჯამში, პავლე კუბლაშვილის ოთახში, გიორგი მელაძის აქტიური მონაწილეობით. პაატა ბურჭულაძე გაიქცა საქართველოდან. ის დაემალა საკუთარ გუნდს. ვერ ვიტყვი, რომ სინდისმა შეაწუხა, მაგრამ, ალბათ, დისკომფორტი არ უნდოდა შეჰქმნოდა. ის სიის დაკომპლექტების პროცესში გაიქცა საქართველოდან და ფორმირება მთლიანად მიანდო იმ ადამიანებს, რომლებსაც მიეყიდა, – განაცხადა ლაგაზიძემ.

მისივე თქმით, ბურჭულაძეს პარტიაში კრიმინალური და ქუჩური მენტალიტეტის მქონე ერთი ადამიანი ჰყავს, რომლის სამეგობროსაც შეუძლია მისი ოჯახისთვის ზიანის მიყენება.

– კრიმინალური და ქუჩური მენტალიტეტის მქონე ადამიანები პარტიაში წარმოდგენილები არიან გოგა კალაძის, იგივე „გალოშას“ სახით, რომელიც მართალია ჭანჭიკია, მაგრამ დისკომფორტს ქმნის იქ და ამის მოწმე როგორც პარტიის, ასევე ბლოკის ყველა წევრია.

მე მესმის მათი, რომ ისინი ახლა არ გამოვლენ და არ მოყვებიან იმ ფაქტებს, რაც გოგა კალაძესთანაა დაკავშირებული, მათ შორის ჩემი და მისი დაძაბული ურთიერთობის შესახებ, მაგრამ აქ მთავარია ის ფაქტი, რომ ეს ადამიანი შესთავაზა პაატა ბურჭულაძემ აჭარის მოსახლეობას სიის პირველ ნომრად.

ეს ადამიანები ჩვენი და ჩვენი ოჯახებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ, როგორც ჯანმრთელობის, ისე სიცოცხლისთვის. „გალოშას“ პარტიის გარეთ ძალიან ცუდი და მძიმე კრიმინალური წარსულის მქონე სამეგობრო და დაჯგუფება ჰყავს, რომლებსაც შეუძლიათ, თავზე ხელი აიღონ და ყველაფერი გამიკეთონ მე და ჩემს ოჯახს, – განაცხადა ხათუნა ლაგაზიძემ.

მისი აზრით, ბურჭულაძის ბლოკი ბარიერს ვერ გადალახავს. პარტიის რეიტინგი გაერთიანებამდე უკვე ეცემოდა, გაერთიანებამ კი საბოლოოდ დააგდო ეს რეიტინგი.

– ბურჭულაძემ გაყიდა თავისი გუნდი, საკუთარი სახელი და ავტორიტეტი, ადამიანი, რომელიც ვაჭრობს საკუთარი სახელით, ის საკუთარ ქვეყანასაც მარტივად გაყიდის, ვერ ვაპატიებ ბურჭულაძეს ჩემი 8 წლის შვილის თვალებში ჩაბუდებულ შიშს, მოვუწოდებ საზოგადოებასა და დედებს განსაკუთრებით, არ შეგაცდინოთ ბურჭულაძის სახელმა და არ ანდოთ თქვენი შვილების მომავალი მას, – განაცხადა ხათუნა ლაგაზიძემ.

მან პაატა ბურჭულაძის პარტიის დატოვებისა და კუბლაშვილ-ჯაფარიძე-ვაშაძესთან გაერთიანების მიზეზებზეც ისაუბრა.

– გირჩთან გაერთიანებაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა პარტიის არაფორმალური ლიდერი მერაბ ტყეშელაშვილი. ამ გარიგების მთავარი მიზეზი, რაც პაატა ბურჭულაძემ აგვიხსნა, იყო ის, რომ პარტიას აქვს ფინანსური კრიზისი და ამიტომ უნდა მოხდეს გაერთიანება გირჩთან. ფაქტია, რომ ძირითადი თანხის შემომტანი არის გირჩი და ამას ადასტურებს სია, – აღნიშნა ლაგაზიძემ.

მისი თქმით, სიაში წარმოდგენილია მხოლოდ 3 ადამიანი ბურჭულაძის პარტიიდან, ხოლო ძირითადი დაკომპლექტებულია გირჩის მიერ.

– ვინც მოხვდა ბურჭულაძის პარტიიდან, ისინიც პავლე კუბლაშვილის მხრიდან მათდამი ლოიალობის გამო მოხვდნენ. მთელი სია არის კუბლაშვილის კონტროლს ქვეშ. ისინი არიან გამყიდველი ნაციონალები. კუბლაშვილების ოჯახს დიდი ცოდვები აწევს სასამართლო კონტროლის კუთხით. დღეს ისინი ცდილობენ ბურჭულაძის დანგრეული ავტორიტეტით კვლავ მოვიდნენ ხელისუფლებაში, – განაცხადა ხათუნა ლაგაზიძემ.

მისი თქმით, კონკრეტულმა პირებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ის პარტიაში არ ყოფილიყო.

– ფაქტობრივად, წამოსვლა მაიძულეს. წინ კიდევ ერთი თვე და ძალიან კონკრეტული მიზანი მაქვს, რომ პაატა ბურჭულაძის ნარჩენებმა ბარიერი ვერ გადალახონ და ბევრ სათქმელს მომავლისთვის ვინახავ. 44

გაგრძელება მე-4 გვერდზე

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

2016, 12 სექტემბერი, №216

# დავით დარჩიაშვილი: „ოცნება“ არჩევნების ჩაშლას აპირებს“

შორენა მარსაგიშვილი



**რატომ საუბრობს „ოცნება“ გამუდმებით მოსალოდნელ არეულობაზე? რა შეიძლება მოხდეს არჩევნების ჩაშლის შემთხვევაში? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი დავით დარჩიაშვილი ესაუბრება.**

***— ხელისუფლება ისევ მოსალოდნელ არეულობაზე ალაპარაკდა. პარტიის აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ ქვეყანაში ქაოსით ნაციონალური მოძრაობაა დაინტერესებული.***

— ერთხელ მქონდა საშუალება, ამ ყმაწვილისთვის მეთქვა, რომ ძალიან უსინდისოდ და სამარცხვინოდ იწყებს თავის პოლიტიკურ კარიერას. როგორც ჩანს, არაფრის რცხვენია და, რასაც დაავალებენ, იმას დიდი ენთუზიაზმით ასრულებს. დაიწყეს იმის მტკიცებები, რომ ჩვენ ვიღაცებს ვესხმით თავს. რა თავდასხმა, რის თავდასხმა. როგორც შეიძლება, თან ამომრჩეველს შევხვდეთ და თან „ქართულ ოცნებას“ დავესხათ თავს. ეს აბსურდია.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამას იმ მიზეზითაც არ გავაკეთებდით, რომ „ქართულ ოცნებას“ სალაპარაკო არ ჰქონოდა. ეგენი ხომ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან იმას ამტკიცებენ, რომ საბურავებს ვაგროვებთ და მათ დაწვას ვაპირებთ. ძალიან ბინძურად იქცევიან. მაგათთვის დიდი პატივი იქნება ჰიტლერთან შედარება, მაგრამ ისიც ასე იქცეოდა — მოწინააღმდეგეს ესხმოდა თავს და შემდეგ ამ ყველაფერს მას აბრალებდა, რათა შემდეგ თავისი უმსგავსო ქმედებები გაემართლებინა. ასე იქცევა პუტინი და მასთან შედარება „ოცნებას“ ძალიან გაუხარდება.

***— არჩევნების წინ ხშირად კეთდება ხოლმე განცხადებები არეულობაზე. ძირითადად ეს ამომრჩევლის დასაშინებლად კეთდებოდა — ჩვენ თუ არ მოგვცემთ ხმას, არეულობა იქნებაო. ამჯერადაც ამ მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი, თუ მართლა რაიმე შეიძლება მოხდეს?***

— მე დიდი ეჭვი მაქვს, რომ თავად მაგათ სურთ არეულობის მოწყობა. ახლა ასე უნიჭოდ და უტიფრად აგროვებენ ამის მოსამზადებლად არგუმენტებს. მე რამდენიმე დღეა, რაც ახალციხეში ვარ და აქაურ მოსახლეობას ვხვდები. ხალხის განწყობიდან გამომდინარე, თამამად შემიძლია გითხრათ, რომ, ადმინისტრაციული რესურსის გარდა, „ოცნებას“ სხვა არაფრის იმედი არ უნდა ჰქონდეს.

„ოცნება“ მოსახლეობის მოსყიდვა-დაშინებით არის დაკავებული. მაჟორიტარობის კანდიდატებად ისეთი ხალხი ჰყავთ წარდგენილი, მაფიას შეშურდება. ასეთ ხალხს შეგნებითა და იდეის გამო მხარს არავინ დაუჭერს. თუ დაშინება და მოსყიდვა საკმარისი არ აღმოჩნდა, სხვა გეგმას აამოქმედებენ.

***— რა გეგმას?***

— არეულობას გამოიწვევენ და არჩევნებს ჩაშლიან. დიდი შანსია, საქმე სწორედ აქამდე მივიდეს, რადგანაც დაშინება და მოსყიდვა მათთვის სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს.

***— არჩევნების ჩაშლით „ოცნება“ რას მოიგებს?***

— დღევანდელი ხელისუფლება წარმოადგენს ყაჩაღური ბუნების ახალ, პოსტკომუნისტურ ელიტას, რომელსაც ძალიან უნდა ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ასეთი ხალხი დიდი სიბრძნით არ გამოირჩევა, ძალაუფლებას რომ კარგავენ, მაშინ მით უმეტეს მოსალოდნელია მათგან უგუნური გადაწყვეტილებები. მათ მიერ ჩადენილი არცერთი სიბრიყვე არ მიკვირს და არც არეულობას მოერიდებიან.

***— თუ მაინც ჩაიშალა არჩევნები, რა მოხდება? შედის ეს ვინმეს ინტერესებში?***

— პირველ რიგში, „ქართული ოცნების“ ინტერესებში არ უნდა შედიოდეს არჩევნების ჩაშლა, მაგრამ ეგენი ხომ ამდენს ვერ თვლიან. ჩემი აზრით, არჩევნებს იმ ოლქებსა და უბნებზე ჩაშლიან, სადაც დაინახავენ, რომ შანსები არ აქვთ. სამწუხაროდ, მათ არ უნდათ სამართლიანი ანგარიშის ნახვა. ეგენი დემოკრატიული არჩევნების ჩამტარებლები არ არიან.

***— 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნები არ იყო დემოკრატიული? არავის უთქვამს, რომ არჩევნები გაყალბდა.***

— ამაზე ბევრს საუბრობენ და ამტკიცებენ, ასეთი დემოკრატიული არჩევნები საქართველოში არ ჩატარებულაო. ეს ძალიან დიდი ბლეფია. უბრალოდ, მაშინ იმიტომ მოიგეს არჩევნები, რომ ხალხს ჯერ კიდევ ჰქონდა ივანიშვილის იმედი. ეგონათ, რაღაცას მაინც გააკეთებდა. საზოგადოებრივი მხარდაჭერაც ჰქონდათ, თორემ, რა დემოკრატები არიან ეგენი, არ გამაგიჟოთ. ესენი არიან ფუფუნებისა და ძალაუფლების მოყვარული ბოლშევიკების შვილები და შვილიშვილები.

„ოცნება“ არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას რომ არ აპირებს, ამაზე კორცხელის ინციდენტიც მოწმობს.

***— თქვენ ზემოთ თქვით, რომ „ოცნება“ მხოლოდ ზეწოლითა და მოსყიდვით შეძლებს ხმების მიღებას. რამდენიმე დღის წინ მედია-პალიტრამ გამოაქვეყნა სოციოლოგიური კვლევის შედეგები, საიდანაც ჩანს, რომ „ოცნება“ ორჯერ უსწრებს ნაციონალურ მოძრაობას. ამაზე რას იტყვით?***

— მე ამ კვლევის შესახებ არაფერი ვიცი. სამაგიეროდ, ვხედავ ხალხის განწყობას, რომელიც „ოცნების“ რეიტინგზე კარგად არ მეტყველებს. ამათ შეუძლიათ ამტკიცონ, რომ მაღალი რეიტინგი აქვთ. იმდენად უტიფრები არიან, რომ ამტკიცებენ, კრიმინალი არ გაზრდილაო. მათმა ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა კი თქვა, ქვეყანაში სიღარიბე აღარ არის და ქუჩაში ღარიბს ვერ ვიპოვითო.

როგორც უკვე გითხარით, ეს დღეები ახალციხეში დავდივარ და საოცარი გაჭირვება ვნახე. სამწუხაროდ, ვერც ჩვენ დავძლიეთ ეს პრობლემა, მაგრამ რაღაც მაინც დავიწყეთ და არ გვიმტკიცებია, რომ საქართველოში ღარიბი ადამიანები არ არიან.

# კახა გოგოლაშვილი: „არსებობს შანსი, პოსტსაარჩევნო კოალიცია შეიქმნას“

## „საქართველოს ამოცანა შავი ზღვის აკვატორიის დაცვაში ნატოს ეგიდით მონაწილეობაა“

ნათია ხურცილავა

**ევროპული კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, პოლიტოლოგი კახა გოგოლაშვილი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ კოალიციური მთავრობა დემოკრატიული განვითარების კიდევ ერთი საფეხურია, თუმცა ყველაზე ცუდი შეიძლება პრორუსულ ძალებთან კოალიციის შექმნა იყოს.**

***— ბატონო კახა, წინასაარჩევნოდ შეიძლება ვითარება დაიძაბოს? მმართველი გუნდიდან განცხადებები უკვე გაკეთდა შესაძლო პროვოკაციებთან დაკავშირებით ნაციონალური მოძრაობის მხრიდან.***

— ვითარების შესაძლო დაძაბვის ანონსის ნაცვლად უკეთესია სამართალდამცავი ორგანოების მომზადება, ინსტრუქტირება, სწორი მოქმედების სტრატეგიის შერჩევა, შესაძლო პროვოკაციის მაღალ დონეზე აღკვეთა. ასეთი სახის განცხადებები შეიძლება არ იყოს რეალობა, მაგრამ ისინი უკვე ქმნის განწყობას, პანიკას.

***— საფრთხე არ არსებობდა და ისე გაკეთდა განცხადება?***

— ვერ გეტყვით, მაგრამ, რეალური ინფორმაციაც რომ იყოს, მსგავსი განცხადება, რომელიც თესავს შიშსა და უნდობლობის მოქალაქეებში, მიუღებელია, მით უფრო — წინასაარჩევნო პერიოდში. ჯობია, სახელმწიფოს ყველა ლეგიტიმური საშუალება იყოს გამოყენებული, რომ პრევენცია მოხდეს.

***— საქართველოში ვიზიტად მყოფმა ნატოს გენერალურმა მდივანმა გვითხრა, რომ ამ არჩევნებს სერიოზულად დააკვირდებიან.***

— ცხადია. ამ არჩევნებს დააკვირდება არა მხოლოდ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, არამედ ევროკავშირიც. ჩვენ ვართ ვიზალიბერალიზაციის მოლოდინში და ნატოსთან, ევროპასთან ურთიერთობაში ეს არჩევნები სერიოზული ტესტი იქნება. საქართველოში თუ არჩევნების შემდეგაც შენარჩუნდება დემოკრატიის განვითარების მიმართულებით პროგრესი, იქნება გარემო, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებს დადებითად განაწყობს, მაშინ, არა მგონია, აღებულ ტემპს რამე საფრთხე დაემუქროს.

***— პოლიტოლოგები ამბობენ, რომ 8 ოქტომბრის არჩევნებში ვერცერთი პარტია ვერ მიიღებს საკონსტიტუციო უმრავლესობას და რომ ახალი პარლამენტი მრავალპარტიული იქნება, რაც დემოკრატიას წაადგება. თქვენი შეფასება როგორია?***

— ნამდვილად არსებობს ეს შესაძლებლობა. რთულია პროგნოზირება, როდესაც ვითარება ცალსახა არ არის, მაგრამ შეიძლება მართლაც აღმოვჩნდეთ ამ რეალობის წინაშე. თუმცა, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ერთ პატარა ფაქტორს, ეს იქნება შიდა თუ გარე ფაქტორი, აქვს მნიშვნელობა და შეიძლება ამ ფაქტორმა ყველაფერი თავდაყირა დააყენოს, შეცვალოს.

დღეს არსებობს შანსი, შეიქმნას პოსტსაარჩევნო კოალიცია, რომელიც ყველა ევროპულ ქვეყანაში იქმნება, თუმცა, ყველაზე ცუდი სცენარი იქნება, თუ რომელიმე გამარჯვებულ ძალას მოუწევს პრორუსულ ძალასთან კოალიციის შექმნა. პრორუსული პატარა ძალაც კი დიდ გავლენას მოახდენს ნებისმიერ გამარჯვებულ პარტიაზე, თუ ის მასთან კოალიციაში შევა.

***— პრემიერმა კვირიკაშვილმა გამორიცხა ასეთი კოალიცია.***

— ეს არის წინასაარჩევნოდ პოზიციის დაფიქსირება, მაგრამ არ ნიშნავს იმას, რომ არჩევნების შემდეგ, გამოუვალ სიტუაციაში, ამ შესაძლებლობას არ აირჩევს იგივე პრემიერი და პარტია. რაც უფრო მაღლა ვიწევთ დემოკრატიული განვითარების ეტაპზე, მით უფრო რთული იქნება ერთმმართველობის დამკვიდრება. თუ ამას გადავლახავთ და შევქმნით კოალიციურ მთავრობას, რეგიონში ეს იქნება პირველი ქვეყანა.

პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ცდილობენ, უკან დაგვაბრუნონ საბჭოთა კავშირში, გაუჭირდებათ. ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. დღეს ქართველი შეიძლება განათლებული არ იყოს, მაგრამ ინფორმირებული ნამდვილად არის. მას აინტერესებს, რა ხდება მსოფლიოში, მის გარშემო, ამიტომაც იცვლება სწრაფად თუნდაც საარჩევნო გარემო.

***— ბატონო კახა, ნატოს გენერალური მდივნის საქართველოში არჩევნების წინ ვიზიტს როგორ შეაფასებთ?***



— ნატო ცდილობს, თავისი ძალები გააძლიეროს შავ ზღვაში. არსებობს შესაძლებლობა, რომლითაც ნატოს წევრი სახელმწიფოების საკმაოდ დიდი ძალები როტაციის საფუძველზე შეიძლება იყვნენ განლაგებულნი შავ ზღვაში. ჩვენი ქვეყანა, რომელიც ნატოსკენ მიისწრაფვის, ამ პროცესის სრულყოფილი მონაწილე უნდა გახდეს.

საქართველო საზღვაო ქვეყანაა, შავი ზღვის სანაპიროზე განლაგებული, ამდენად, მისი უსაფრთხოება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ბოლო ათწლეულებია, რაც რუსეთი შავ ზღვაში დომინირებას ცდილობს, მეტიც, მთლიანად სტრატეგიული უპირატესობის აღება სურს. ყირიმის აღება, პირველ რიგში, სწორედ ამ მიზნით იყო ნაკარნახევი. სწორედ ამიტომ ახლა საქართველოსთვის უმთავრესი ამოცანა შავი ზღვის აკვატორიის დაცვა და ამ პროცესში ნატოს ეგიდით სრულყოფილი მონაწილეობაა.

დასაწყისი მე-3 გვერდზე

წლის განმავლობაში დაცვის თანხლებით დღეს პირველად დავდივარ და ჩემი ბავშვი 3 ადამიანის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. შსს-სთვის ოფიციალურად არ მიმიმართავს. ვთვლი, რომ ღია სივრცეში გაკეთებული განცხადება მიმართვის ტოლფასია. თუ ამას რეაგირება არ მოჰყვება, შსს-ს უახლოეს დღეებში პირადად მივმართავ, — განაცხადა ხათუნა ლაგაზიძემ.

* * *

გუშინ, 11 სექტემბერს, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, პაატა

# ხათუნა ლაგაზიძე: „ბურჭულაძის პარტიას კუბლაშვილი აკონტროლებს“

ბურჭულაძემ ხათუნა ლაგაზიძის ბრალდებებს უპასუხა.

მისი განცხადებით, სია საქმის მკეთებელი კადრებით დაკომპლექტდა და პარტიაში კრიმინალური მენტალიტეტის მქონე ადამიანების არსებობა გამორიცხულია.

— განრისხება, რომელიც ქალბატონმა ხათუნამ გამოიჩინა, ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა, თუმცა მან იცოდა ეს, იმიტომ, რომ ჩვენ ყველამ გუნდურად განვიხილეთ და შევთანხმდით, რომ ჩვენი პრიორიტეტია, პარლამენტში შევიდნენ საქმის მკეთებლები და არა მოლაპარაკეები, იმიტომ, რომ მოლაპარაკე ისედაც ძალიან ბევრია პარლამენტში, ხოლო როგორ გაკეთდეს საქმე, არ იციან, — განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

მან თქვა, რომ ხათუნა ლაგაზიძეს აპატია.

— რამდენიმე დღეში ლაგაზიძეს წყენა გადაუვლის და საკუთარ საქციელს ინანებს, — დასძინა ბურჭულაძემ.

# მაგთიკომის მხარდაჭერით ქართველი მხატვრის ჯემალ კუხალაშვილის ალბომი გამოიცა




## „კომპანია ქართული კულტურის პოპულარიზაციის ტრადიციას არც მომავალში დაარღვევს...“

„ეს დღე ჩემთვის დღესასწაულის ტოლფასია და, ამდენად, მეტად მნიშვნელოვანიც. ალბომში, რომლის პრეზენტაციაც აქ, დამსწრე საზოგადოების წინაშე გაიმართა, 430-მდე ნაშრომია გამოფენილი.

მგონია, რომ ამხელა ბედნიერებას ვერ მოვესწრებოდი, რომ არა კომპანია მაგთიკომი და უშუალოდ ბატონი გია ჯოხთაბერიძე, რომელიც ამ საქმის თავკაცია“, – ასე შეაფასა საკუთარი ალბომის პრეზენტაციის საღამო მხატვარმა ჯემალ კუხალაშვილმა.

ეს საღამო კი მას კომპანია მაგთიკომმა მოუწყო, რაც ნიშნავს, რომ მაგთიმ ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას კიდევ ერთი ალბომი მიუძღვნა და ამჯერად უკვე ჯემალ კუხალაშვილის ნამუშევრები ალბომის სახით გამოსცა. მისი პრეზენტაცია 7 სექტემბერს მაგთიკლუბში გაიმართა.





თუმცა, გარდა ამისა, იქ შეკრებილ საზოგადოებას მხატვრის ნამუშევრების დათვალიერებაც შეეძლოთ – მაგთიკლუბში ფერმწერის რამდენიმე ექსპოზიციაც იყო გამოფენილი. საღამოზე მოწვეულ სტუმრებს შორის კი თვალს ცნობილ ხელოვანებსაც მოჰკრავდით.

რეჟისორები, მხატვრები, მსახიობები, ხელოვნებათმცოდნეები, კომპოზიტორები და სხვა ბევრი საზოგადო მოღვაწე მხატვარს ალბომის გამოცემას ულოცავდა. პრეზენტაციის მსვლელობისას ფერმწერის შემოქმედებაზე მათ საკუთარი აზრი გამოთქვეს და დამსწრე საზოგადოებას სიტყვითაც მიმართეს.

„მთელი გულით მსურს, ბატონ გია ჯოხთაბერიძეს დიდი მადლობა ვუთხრა. ეს პიროვნება სულითაც და გულითაც ხელოვანია. ის ამსუბუქებს ჩვენს აზროვნებას, ყოველდღიურობას. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ხალხი არსებობს და ვისურვებდი ქართულ კულტურასა და მხატვრობას ასეთი ბევრი ადამიანი ჰყავდეს.

„არ ვიცი, იმაზე მეტი მოტივაცია როგორ უნდა შეექმნას მხატვარს, როცა ამ ადამიანმა უკვე 14 წიგნი/ალბომი გამოსცა. ამავე დროს, რა თქმა უნდა, ეს ქართულ მხატვრობას სტიმულს აძლევს. ყველამ უნდა დაიკაპიწოს ხელები და იმედი არ დაკარგოს,“ – აღნიშნა ჯემალ კუხალაშვილმა.

მაგთიკომის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის თათული ღვინიაშვილმა კი კომპანიის ტრადიციებზე ისაუბრა და დასძინა, რომ მაგთიკომისთვის ქართველი ხელოვანების ალბომების გამოცემა, ხოლო ამ ფორმით ქართული კულტურის პოპულარიზაცია კომპანიის ერთგვარ ტრადიციადაც კი იქცა.

მისი თქმით, მაგთიკომი მომავალშიც არ დაარღვევს ტრადიციას და გააგრძელებს ქართული კულტურისა და ხელოვნების მხარდამჭერი პროექტების განხორციელებას.

„ქართველი გამოჩენილი ხელოვანების, მხატვრების ალბომების გამოცემა მაგთიკომის ერთგვარი ტრადიციაა. მაგთის ხელშეწყობითა და ინიციატივით უკვე ათობით ალბომია გამოცემული. მაგთიკლუბში ქართველი მხატვრის ჯემალ კუხალაშვილის ალბომის პრეზენტაცია წარმატებით შედგა. აქვე გამოფენილი მცირე ექსპოზიციები კი დამთვალიერებელს საშუალებას აძლევს ბატონი ჯემალის შემოქმედებას გაეცნოს.

„ცხადია, როდესაც მხარს ქართულ კულტურას უჭერ, ეს ნამდვილად ქართული საქმის კეთებას ნიშნავს, რაც ჩვენი დევიზია. აღსანიშნავია, რომ მაგთიკომის მიერ უკვე არაერთი უნიკალური ალბომი გამოიცა. მნიშვნელოვანია, რომ გარდა მხატვრობისა ჩვენ ძალიან დიდ დროსა და ენერგიას ვუთმობთ ლიტერატურას.

„ამ დროისთვის კი ლიტერატურაზე უამრავი უნიკალური წიგნია გამოცემული, მათ შორის საარქივო წიგნები. რაც მთავარია, ჩვენ ვზრუნავთ მომავალ თაობაზე. ჩვენი გამოცემული წიგნებითა და ალბომებით საშუალებას ვაძლევთ ეროვნულ ღირებულებებზე აღიზარდონ. რა თქმა უნდა, მაგთიკომი ამ საქმეს მომავალშიც გააგრძელებს და დამთვალიერებლებსა თუ მკითხველებს ახალ ალბომებს შესთავაზებს“, – განაცხადა თათული ღვინიაშვილმა.

ხელოვნებათმცოდნე დავით ანდრიაძემ კი ჯემალ კუხალაშვილის შემოქმედების შესახებ ასე ისაუბრა:



„მისი არტისტული ენა, უფრო სწორად, ცნებები, ერთგვარი ნოეს კიდობანია და მხოლოდ მხატვარმა იცის ამ კიდობნის საიდუმლო. მას კარნავალური ფამილარიზმით შევყავართ „ისტორიის სცენაზე“, „ისტორიის გადასაღებ მოედანზე“, მხატვარი მძაფრად გრძნობს ადამიანს, როგორც სასრულ არსებას, თავის ტრაგიკულ ყოფიერებას უსასრულო ამოცანას რომ უწყვეტს და ამას აკეთებს თავისი პარადოქსული ელეგანტურობითა და ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქით“, – წერს ანდრიაძე.

ცნობისთვის, „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“ – ამ ეგიდითა და ქართული ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით მაგთიკომმა არაერთი მხატვრის, მოქანდაკისა თუ არქიტექტორის ნამუშევართა ალბომი გამოსცა. მათ შორის არიან:

ირაკლი ფარჯიანი, ედმონდ კალანდაძე, თემო ჯაფარიძე, რადიშ თორდია, მერაბ აბრამიშვილი, კოკი მახარაძე, დიმიტრი ერისთავი, თემო გოცაძე, ჯიბსონ ხუნდაძე, ელგუჯა ამაშუკელი, ოთარ ჩხარტიშვილი, ემირ ბურჯანაძე, ბიძინა ავალიშვილი, ლევან ცუცქირიძე, გოგი ჩაგელიშვილი, გიგა ბათიაშვილი, გივი ჯაფარიძე, ვაჟა ორბელაძე, მერაბ მერაბიშვილი, ლადო ქუთათელაძე, ვახტანგ დავითაია.

**ანა დადეშქელიანი**

# სააკაშვილს კონტრაბანდა ბრალად კიდევ ერთხელ დასდეს

## ექსპრეზიდენტი ოლიგარქებთან ბრძოლას ორ სახელმწიფოში აპირებს

**მარიამ მჭედლიშვილი**

ოდესის ოლქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელი კიდევ ერთხელ დაუკავშირეს კონტრაბანდას.

ოფიციალური ინფორმაციით, სასაზღვრო პატრულმა ოდესის ოლქში, მოლდოვის საზღვართან, კონტრაბანდული ტვირთის უკრაინაში შემოტანა აღკვეთა. კონტრაბანდაში ეჭვმიტანილებმა გაქცევა მოახერხეს. სასაზღვრო პატრულმა საზღვართან აღმოაჩინა სიგარეტებით სავსე ყუთი და ტრაპი, რომლითაც მანქანას თხრილებზე უნდა ემოძრავა.

უკრაინის ერთ-ერთი ტელეარხით გადაცემულ სიუჟეტში კონტრაბანდაში მონაწილეობა მიხეილ სააკაშვილს დაუკავშირეს.

კონტრაბანდულ სკანდალში ოდესის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რამდენიმე თვის წინ გაეხვია. მაშინ უკრაინის მთავარმა პროკურატურამ შეამოწმა ოდესის კეთილდღეობის ფონდის საქმიანობა და გაჩხრიკა ფონდის ხელმძღვანელ თეიმურაზ ნიშნიანიძის სამუშაო კაბინეტი. ამ შემოწმების შედეგად გაკეთდა განცხადებები იმის შესახებ, რომ ფონდის სპონსორები არიან კონტრაბანდისტები, რომლებიც ფულს ათეთრებენ.

ეს სკანდალი ჩაიფარცხა. მაშინ ხშირად საუბრობდნენ იმაზე, რომ სააკაშვილი საქართველოში ბრუნდება. ამ პერიოდს ემთხვევა მისი რეფორმატორული გუნდის რიგების შეთხელება ოდესის ოლქში. ზოგიერთი მისი თანაგუნდელი თანამდებობიდან გადააყენეს, ზოგი კი შეუთავსებელი აღმოჩნდა კანონთან სახელმწიფო მოხელის შესახებ.



ახლა სააკაშვილის საქართველოში დაბრუნების თემა აქტუალური აღარ არის, უკრაინის მედიის ერთ-ერთი მთავარი თემა კი ის განცხადებებია, რომლებიც ოდესის გუბერნატორმა ევროვიზიის მომავალი კონკურსის შესახებ გააკეთა. იგი აპროტესტებს გადაწყვეტილებას მომავალი ევროვიზიის კიევში გამართვის შესახებ. სააკაშვილს უნდოდა, ევროვიზია ოდესაში ჩატარებულიყო.

კიევის ლობისტებს მან ანტისახელმწიფოებრივი აზროვნება დასდო ბრალად და აღნიშნა, რომ უკრაინის ასაშენებლად ახალი მიდგომები და ახალი ადამიანებია საჭირო.

სააკაშვილს არ გაუმახვილებია ყურადღება უკრაინაში სიტუაციის გართულებასა და შესაძლო ომზე რუსეთთან. ევროვიზიის გადაწყვეტილების პარალელურად, უკრაინამ ვაშინგტონისგან მნიშვნელოვანი გზავნილი მიიღო – პენტაგონმა და უკრაინის თავდაცვის სამინისტრომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. პენტაგონის ხელმძღვანელ ეშ კარტერის თქმით, ეს შეთანხმება უკრაინას თავისი ტერიტორიის დაცვაში დაეხმარება.

ცოტა ხნის წინ სააკაშვილი უკრაინისა და საქართველოს ერთობლივ პრობლემებს შეეხო და აღნიშნა, რომ იგი შეებრძოლება ოლიგარქებს ორივე ქვეყანაში.

– აქტიურად ვარ ჩართული არჩევნების პროცესში საქართველოში. პრინციპული და მნიშვნელოვანია, რომ რუსი ოლიგარქის კლანჭებიდან გამოვიდეს ქვეყანა, რომელიც მან ფეხქვეშ გათელა, – აღნიშნა ექსპრეზიდენტმა.

მისი აზრით, საქართველოში არაა კორუფცია ძირითად სახელმწიფო ინსტიტუტებში. დაბალი გადასახადებია და ადვილია ბიზნესის კეთება, მაგრამ ეს ყველაფერი ინერციით ხდება, განვითარების ტემპი კი დაცემულია.

უკრაინული წყაროების ცნობით, ოდესის ოლქში ჩასვლას აპირებს ჟურნალისტი, პოლიტიკური აქტივისტი და სააკაშვილის მოწინააღმდეგე ლალი მოროშკინა. იგი ოდესის ოლქის ერთ-ერთმა ტელევიზიამ და რამდენიმე ცნობილმა ადამიანმა მიიწვია. მათი თქმით, ვიზიტის მიზანი სააკაშვილის ჩაძირვაა.

სავარაუდოდ, ეს ვიზიტი 8 ოქტომბრამდე ვერ შედგება, ვინაიდან მეჭიაურის პარტიიდან წამოსული ლალი მოროშკინა მაჟორიტარად კენჭს პატრიოტთა ალიანსის სახელით იყრის.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ბათუ ქუთელია: „ამერიკული სამხედრო ბაზის საქართველოში ყოფნა შეიძლება საჭირო გახდეს“



საქართველოში ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის ვიზიტისა და საერთაშორისო ურთიერთობების ასპექტებზე ნიუპოსტი ამერიკის მაკეინის საერთაშორისო ლიდერობის ინსტიტუტის წარმომადგენელ ბათუ ქუთელიას ესაუბრა.

***– როგორ აფასებთ სტოლტენბერგის ვიზიტს არჩევნებამდე ერთი თვით ადრე და რა მნიშვნელობის მატარებელია დედაქალაქში გაკეთებული განცხადებები?***

– ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტია თავისი ფორმით, შინაარსით, მნიშვნელობითა და დროის შერჩევით. ბოლო ორი წლის განმავლობაში ეს ნატოს გენერალური მდივნის მეოთხე ვიზიტია საქართველოში, გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ამ ვიზიტის შინაარსი.

საქართველოს ნატოში ელოდებიან. ვარშავის სამიტზე დამატებითი მექანიზმები მოგვცეს, თუ როგორ უნდა გავაძლიეროთ და უზრუნველვყოთ ქვეყნის უსაფრთხოება, სანამ კოლექტიური უსაფრთხოების გარანტიებს მივიღებთ – ეს არის აღჭურვა, ტერიტორიული თავდაცვისთვის მომზადება, წვრთნები ჩვენს ტერიტორიაზე ანუ მეტი ნატოს ყოფნა საქართველოში.

მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომ საქართველო არ განიხილება განყენებულ თემად, არამედ ევროატლანტიკური უსაფრთხოების ნაწილია. მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის როლი შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტშიც, საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი როლი, რაც მთავარია, შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი და ამასთან დამატებითი უსაფრთხოების გარანტიები მიიღოს თავისთვისაც.

***– რამდენად რეალურია აშშ-ის ფლოტის ჩვენს ქვეყანაში განთავსება?***

– ეს არის გამარტივება იმ მნიშვნელოვანი საკითხის, რასაც საქართველო – ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობა ჰქვია. ამ თანამშრომლობის კონტექსტში, რაც უფრო მეტი დამატებითი მექანიზმები შეიქმნება ორმხრივი უსაფრთხოების ინტერესების გასათვალისწინებლად, უფრო წაადგება, როგორც რეგიონალურ უსაფრთხოებას, ისე ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას.

სამხედრო ბაზების ყოფნა-არყოფნა იმ დღის წესრიგის ერთ-ერთი კომპონენტია, რომელიც უნდა გვქონდეს და რომელიც უნდა განვავითაროთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან. იგივე საქართველოს შეიარაღებული ძალების წვრთნა და შესაბამისი აღჭურვა სამხედრო ტექნიკით იმისთვის, რომ ჩვენი უსაფრთხოება უზრუნველვყოთ.

სამხედრო ბაზის ყოფნა შეიძლება გახდეს საჭირო იმ რეგიონული უსაფრთხოებიდან გამომდინარე, რაც დღეს სახეზეა. სტრატეგიული თანამშრომლობა სწორედ ამას ითვალისწინებს, საქართველო ინფრასტრუქტურულად, სამხედრო თავსებადობითაც მზად არის, მაგრამ ეს არის ნაწილი მთლიანი სტრატეგიული თანამშრომლობისა და ყოველთვის საერთო კონტექსტში უნდა იყოს ჩასმული.

***– ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო. დოკუმენტში დაგმობილია რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრისა და სამხედრო ინტერვენციის ფაქტი. რა მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ რეზოლუციას ჩვენი ქვეყნისთვის?***

– ეს არის ძალიან დიდი და პრინციპული მხარდამჭერი რეზოლუცია, მსგავს რეზოლუციებს კონგრესი იღებდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა მოახდინა სუვერენული ქვეყნების ოკუპაცია. ის ხდებოდა აშშ-ის პოლიტიკის ნაწილი. ეს ბალტიის ქვეყნებთან და მათ შორის საქართველოსთან მიმართებაში კეთდებოდა. დღეს მსგავსი მხარდაჭერა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, როცა რეგიონში უსაფრთხოების საკითხები უნდა გადაწყდეს და როცა რუსეთი ძალიან აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებს. გარდა ამ რეზოლუციისა, საქართველოს მხრიდანაც უნდა იყოს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგმული.

***– კონკრეტულად რა ნაბიჯების გადადგმაა აუცილებელი?***

– ძალიან მნიშვნელოვანია თანმიმდევრული პოლიტიკის გატარება. საქართველომ დემოკრატიული სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა უნდა გააგრძელოს იმისთვის, რომ უფრო მეტი პოლიტიკური და ტექნიკური საშუალება გვქონდეს, რომ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება და რეინტეგრაცია მოვახდინოთ. საქართველოს ხელისუფლებამ საჭირო დროს უნდა გამოიყენოს ყველა რესურსი, რათა ეს პროცესი მშვიდობიანად დასრულდეს.

ამის ბევრი პრეცედენტი იყო ევროპაში და ყველა მათგანის უკან აშშ იდგა. კონგრესის მსგავსი რეზოლუციები ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერის განხორციელების ბერკეტი შეიძლება გახდეს.

**დავით ჯაბაშვილი**

## დავით უსუფაშვილი: „არ შეიძლება, პარლამენტში ბიზნესმენები იყვნენ“



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის განცხადებით, არ შეიძლება, პარლამენტში ბიზნესმენები იყვნენ, თან ბიზნესს აკეთებდნენ და თან პოლიტიკას.

ამის შესახებ უსუფაშვილმა ზუგდიდში ყოფნისას განაცხადა.

მისი თქმით, ეს ვნებს პოლიტიკასაც და ბიზნესსაც.

უსუფაშვილმა ამის მაგალითად პარლამენტარი გოდერძი ბუკია მოიყვანა და აღნიშნა, რომ ის ოთხი წლის განმავლობაში მხოლოდ ხუთჯერ იყო პარლამენტში.

**დავით უსუფაშვილი:**

– როგორ შეიძლება ბიზნესი იყოს თავისუფალი, თუ რომელიმე დარგის წარმომადგენელი ზის პარლამენტში და თვითონ იღებს იმ კანონებს, რომლებიც იმ ბიზნესს არეგულირებს. ამას ვსაყვედურობთ ჩვენს კოლეგა „ქართულ ოცნებას“, როდესაც ვეუბნებით, რომ ოთხი წლის წინ, როდესაც სააკაშვილის რეჟიმი იყო დასამარცხებელი, ჩვენ მაშინ სხვა კრიტერიუმებით ვარჩევდით მებრძოლებს. დღეს, შეგვიძლია კარგად დავფიქრდეთ, ვინ ჯობია პარლამენტში. თქვენი კუთხის შვილია ბატონი გოდერძი ბუკია, რომელსაც ოთხი წელი ჩემთან ერთად პარლამენტში უნდა ემუშავა. ოთხი წლის განმავლობაში ხუთჯერ ვნახე პარლამენტში. მშრომელი კაცია, მაგრამ ის კაცი შრომობს თავისი ბიზნესისთვის, თავისი კომპანიისთვის. არ შეიძლება, ეს ხალხი იყოს პარლამენტში, თან ბიზნესს აკეთებდნენ და თან პოლიტიკას.

**მედიანიუსი**

## ირაკლი კობახიძე: „ნაციონალები ისევ ცოცხებით იმუქრებიან“

– ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა დაგვარწმუნა, რომ პროვოკაციები რეალურად არის მოსალოდნელი.

ამის შესახებ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ პარტიის ცენტრალურ ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.



ირაკლი კობახიძის თქმით, ჯერჯერობით პროვოკაციების მასშტაბი არ არის დიდი, თუმცა დინამიკა მზარდია.

– სწორედ აქედან გამომდინარე გვინდა ამ პროვოკაციებზე თქვენი ყურადღების გამახვილება. აქვე ვიტყვი, რომ განსაკუთრებული კონცენტრაცია პროვოკაციების კუთხით შეინიშნება ორ რეგიონში. ეს არის სამეგრელოს რეგიონი, კონკრეტულად ზუგდიდის მუნიციპალიტეტი და ასევე აჭარის რეგიონი, სადაც რამდენიმე საკმაოდ მძიმე პროვოკაციას ჰქონდა ადგილი ჩვენი აქტივისტების მიმართ ამ ბოლო დღეების განმავლობაში, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისი თქმით, 3 სექტემბერს „ოცნების“ კანდიდატ მერაბ ქვარაიას ზუგდიდში ჰქონდა შეხვედრა აქტივისტებთან სადგურის დასახლების მაცხოვრებლებთან, სადაც მივიდა ნაციონალური მოძრაობის სიის მე-13 ნომრის, ქებურიას დედა მზია გახარია თავის აქტივისტებთან ერთად და იქ მოაწყვეს პროვოკაცია, რაც გამოიხატებოდა ლანძღვაში, გამომწვევ მოქმედებაში და ა.შ.

– 6 სექტემბერს ასევე ზუგდიდში, ზუგდიდის მეორე კანდიდატს, ედიშერ თოლორაიას, შეხვედრა ჰქონდა სოფელ ანაკლიაში, სადაც ჟანა ცხადაია, ერთ-ერთი გამორჩეული აქტივისტი ზუგდიდის ნაციონალური მოძრაობის რაიონული ორგანიზაციისა და მისი თანხმლები აქტივისტები მივიდნენ შეხვედრაზე. ისინიც გამოირჩეოდნენ ლანძღვითა და სხვა პროვოკაციული მოქმედებებით, – განაცხადა კობახიძემ.

პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა ისაუბრა ბათუმში განხორციელებულ პროვოკაციებზეც.

– ბათუმში 68-ე ოლქში ფატი ხალვაშსა და ვახტანგ წულაძეს, ჩვენს ორ კანდიდატს ჰქონდათ შეხვედრა ამომრჩეველთან ბარცხანაში, სადაც მივიდა ქალბატონი ნაზი ფუტკარაძე. ეს არის ყოფილი საკრებულოს წევრი ნაციონალური მოძრაობიდან და აქტივისტი. მასთან ერთად მივიდა ვინმე ივანიძე, რომელიც გახლავთ ერთ-ერთი ყოფილი რწმუნებულის ქალიშვილი. მათაც მოაწყვეს მსგავსი პროვოკაცია. ერთ-ერთი ფრაზა, რომელიც იქ გაისმა, არის ის, რომ ქალბატონმა ივანიძემ დასძინა – ისინი იყვნენ ღირსნი ცოცხებისა და დუბინკების, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ამ ფრაზას მოჰყვა რეაქცია „ოცნების“ აქტივისტების მხრიდან.

– ეს რეაქცია იყო ღირსეული და მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს აქტივისტებს იმისთვის, რომ ისინი არ აჰყვნენ პროვოკაციებს და შემოიფარგლნენ მხოლოდ ღირსეული პასუხით ამ კონკრეტულ შემთხვევაში, – აღნიშნა აღმასრულებელმა მდივანმა.

მისი თქმით, ვიდრე სანდრა რულოვსის პირით ნაციონალები ცდილობენ საზოგადოების დარწმუნებას, რომ დუბინკები და ცოცხები აღარ იქნება, მათი აქტივისტები, მათი თანაპარტიელები რეალურად ამის საპირისპიროს ამტკიცებენ.

* * *

ირაკლი კობახიძის განცხადებას ნაციონალები მალევე გამოეხმაურნენ.

პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი აბესაძემ კობახიძის განცხადებას სამარცხვინო უწოდა.

– სამწუხაროდ, გვყავს ხელისუფლება, რომელიც ამ ყველაფერს ოპოზიციისთვის დაბრალების მიზნით აცხადებს. ისინი თავად ვერ იცავენ საზოგადოებრივ წესრიგს და უსაფრთხოებას საკუთარ აქციებზე და თითქოს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები უშლიან ხელს. ეს ნამდვილად სამარცხვინო განცხადებაა სახელისუფლებო პარტიის მხრიდან, – განაცხადა აბესაძემ.

**მედიანიუსი**

## მრეწველები ცესკოს თავმჯდომარის გადადგომას ითხოვენ

საარჩევნო ბლოკი „თოფაძე, მრეწველები – ჩვენი სამშობლო“ ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობასთან საპროტესტო აქციას მართავს.

აქციის მონაწილეები ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიას დაუყოვნებლივ გადადგომასა და ბლოკისთვის რეგისტრაციის აღდგენას მოითხოვენ. იმ შემთხვევაში, თუ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, აქციის მონაწილეები შიმშილობის დაწყებას აპირებენ.

– ჩვენმა ბლოკმა კანონით გათვალისწინებულ ვადებში ჩააბარა ცესკოში ყველა დოკუმენტი, მათ შორის პარტიული და მაჟორიტარული სიები. მეორე დღეს გავიგეთ, რომ თითქოს რაღაც ხარვეზი იყო. რეალურად, არანაირი ხარვეზი არ არსებობდა, –



განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

ცესკოს გადაწყვეტილებით, ბლოკს „თოფაძე, მრეწველები – ჩვენი სამშობლო“ რეგისტრაცია დროებით შეუჩერდა.

ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიას განმარტებით, ბლოკის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას თან არ ახლდა პარტიული სია, რაც საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაციიდან მოხსნას ითვალისწინებს.

**მედიანიუსი**

# „თამარ ჩუგოშვილი იუსტიციის მინისტრი გახდება“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ინფორმაცია და მას ეკითხებოდნენ აზრს. ისიც ისეთ ხალხს უწევდა რეკომენდაციას, რომლებიც მასავით აზროვნებდნენ.

აქედან გამომდინარე, მივიღეთ ისეთი საარჩევნო სია, რომელსაც ნამდვილ „ქართულ ოცნებასთან“ საერთო არაფერი აქვს. სიაში ის ხალხი შეიყვანეს, რომლებიც 2012 წლამდე არსად ჩანდნენ. ბევრი მათგანი ღიად თანამშრომლობდა ნაციონალებთან.

ეს იგივეა, ადამიანმა ააშენოს მაგარი სახლი, მაგრად მოაწყოს, მერე იქ ვილაცები შეუცვივდნენ და ნგრევა დაუწყონ. ასევე ხდება „ოცნებაში“. დღეს მიდის მისი ნგრევა. არ შეიძლება, ის ხალხი გვერდზე დატოვო, ვინც რეჟიმს ებრძოდა და რეჟიმთან ჩახუტებულები სიაში შეიყვანო. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი ჩუგოშვილის

**ჩუგოშვილი დაუპირისპირდა კვირიკაშვილს. მან განაცხადა, რომ მხარს არ დაუჭერს ოჯახის დეფინიციასთან დაკავშირებით კონსტიტუციაში ჩანაწერის გაკეთებას. „ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი დაპირება საკონსტიტუციო ცვლილებაა. ჩუგოშვილის განცხადება „ოცნებისა“ და კვირიკაშვილის წინააღმდეგ წასვლაა. ეს აუცილებლად დააკარგვინებს „ოცნებას“ მხარდამჭერებს**

დაწინაურებაა.

ეს ქალი ჯერ ხელისუფლებაში არ მოსულა და უკვე ითხოვს რამდენიმე პარტიისა და მედიასაშუალების იზოლირებას. ის ამის შესახებ ნატოს წარმომადგენლებსაც ესაუბრა.

***– რომელი პარტიის ან მედიასაშუალების იზოლირებას ითხოვს?***

– ე.წ. პრორუსული პარტიების, უფრო სწორად, იმ პარტიების, რომლებიც ამბობენ, რომ რუსეთთან დიალოგი აუცილებელია. რამდენადაც მე ვიცი, ამ მიზნის მისაღწევად რამდენიმემილიონიანი გრანტია გამოყოფილი.

გასაგებია, რომ რუსეთი ოკუპანტია და ჩვენი მომავალი ევროპაა, მაგრამ ასეთი რამის გაკეთება ისევ რუსეთის წისქვილზე დაასხამს წყალს. ისრაელი აშშ-ის ყველაზე დიდი პარტნიორია, მაგრამ ისიც კი უწევს რიგ საკითხებში წინააღმდეგობას. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ და ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედოთ ყველა ქვეყანასთან ურთიერთობაში. ებრაელებს აქვთ ასეთი გამოთქმა – რაც უფრო მოიდრეკ ქედს, მით მეტად დაგასხდებიან თავზე. ჩვენს შემთხვევაშიც ასე იქნება.

# თენგიზ დიხამინჯია: „აფხაზებს ახალი ლიხნის კრება სჭირდებათ“

გულიკო ბალაძე

**თენგიზ დიხამინჯია** „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ რუსეთი აფხაზეთში ფუნდამენტურად დამკვიდრებას ცდილობს. აფხაზეთში დემოგრაფიული სიტუაცია აფხაზებისთვის ცუდი მიმართულებით იცვლება.

***– ბატონო თენგიზ, ზაფხულის განმავლობაში აფხაზეთის მოსაზღვრე სამეგრელოში იმყოფებოდით და იქიდან აკვირდებოდით ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ სიტუაციას. თქვენი დასკვნები როგორია?***

– აფხაზეთთან ოთხ ადგილზე გაკეთებულია ადმინისტრაციული საზღვარი – ორსანტიასთან, რუხთან, კოკთან და განმუხურთან, საიდანაც გადმოდიან ლტოლვილები და ე.წ. საბაჟოს წარმომადგებლები დგანან. გიგა ოთხოზორია რომ დახვრიტეს, იქაც ვიმყოფებოდი. შეხვედრა მქონდა სხვადასხვა წრის წარმომადგენლებთან. იქ ჩემი ნათესაობა ცხოვრობს. დაინტერესებული ვიყავი ინფორმაციის მოპოვებით.

რუსეთი აფხაზეთში ფუნდამენტურად დამკვიდრებას ცდილობს. ამ მიზნით სამხედრო ბაზას, სკოლებს, ახალ კორპუსებს აკეთებს. ყველანაირად ცდილობენ, ქართველები და აფხაზები ერთი-ერთზე არ დატოვოს.

***– თქვენ წლების წინ მონაწილეობდით მშვიდობიან მოლაპარაკებებში. როგორ ჩანს აფხაზეთის პრობლემა სამეგრელოდან, სადაც უფრო მეტად შეიგრძნობა კონფლიქტის სიმწვავე?***

– ურთიერთობის საშუალება მაშინ მოგეცემა, როდესაც აფხაზებს დაარწმუნებ შენი სახელმწიფოებრივი წყობის პერსპექტივაში. როდესაც აფხაზების უმრავლესობა რეალურად დარწმუნდება, რომ შენთან გაცილებით მეტი აქვს საერთო ეკონომიკურად, სულიერად, თავისი ტრადიციებით, რელიგიური მრწამსით და ქართული სახელმწიფოებრიობა გაცილებით მეტს მისცემს, ვიდრე რუსეთი.

***– ამაში გარკვევისა და დარწმუნების სურვილი დღეს აფხაზებში არის? აფხაზებს უნდათ, რომ ეს მოისმინონ და გაიგონ?***

– აფხაზების რაღაც ნაწილს შეიძლება ჰქონდეს ამის სურვილი, რაღაც ნაწილს – არა. მაგალითად, სამაჩაბლოსა და ცხინვალთან საქმე სხვაგვარადაა.

***– როგორ?***

– აფხაზეთის ხელისუფალი ჩვენთან დიალოგში უფრო ლიბერალია. ცხინვალში პირიქითაა. ყოველ შემთხვევაში, აგვისტოს ომამდე სამაჩაბლოს მოსახლეობა უფრო ადვილად ინტეგრირდებოდა საქართველოსთან, ვიდრე აფხაზეთის მოსახლეობა. ამ დროს ცხინვალის ხელისუფლება გაცილებით ხისტი იყო საქართველოს პოლიტიკურ წრეებთან ურთიერთობაში.



***– ზოგადად, საქართველოს ხელისუფლებამ როგორ და რა ფორმით უნდა დაარწმუნოს აფხაზები და ოსები რაიმეში, თუ მათ არაფრის მოსმენა არ უნდათ?***

– კომპლექსური მიდგომაა საჭირო. ეს იმაზეა დამოკიდებული, ქართული სახელმწიფოებრიობა როგორ დალაგდება, რამდენად ექნებათ გარანტირებული მოქალაქეობრივი, სამართლებრივი, სარწმუნეობრივი, ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი არსებობის გარანტიები. ეს ყველაფერი იძლევა კონსტიტუციურ გარანტიებს.

აფხაზები უნდა დაარწმუნო საგარეო ვექტორში და კონსტიტუციურ გარანტიებში, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებაში. ამ საკითხების კომპლექსურად გადაწყვეტა გამოიწვევს აფხაზეთის მოსახლეობის შემობრუნებას.

***– ჩვენ არჩეული გვაქვს საგარეო ვექტორი ევროპული და ევროატლანტიკური მიმართულებით. აფხაზები უფრო რუსეთისკენ იხრებიან.***

– უფრო კი არა, თვითონ ხაჯიმბას ხელისუფლება, რომლითაც ანქვაბის ხელისუფლება ჩაანაცვლეს, სრულიად რუსეთზეა ორიენტირებული. ბაღაფშთან ახლო ურთიერთობა მქონდა. მთელი იმ პერიოდის განმავლობაში სამშვიდობო მოლაპარაკებას ვმართავდი. ჯინჯოლიასთანაც მქონდა შეხვედრები, მანამდე პოლიტიკური ელიტის სხვადასხვა წარმომადგენლებთან მქონდა შეხება პრობლემის მშვიდობიანად მოგვარებისთვის, თუმცა იმ შეხვედრებმა შედეგი არ გამოიღო.

შემდეგ ის ადამიანები, რომლებიც პროქართველები იყვნენ, მეუღლეები ქართველები ჰყავდათ, ოჯახური წარმომავლობით, გენეტიკური თვალსაზრისით აფხაზებთან ძალიან ახლო ურთიერთობები ჰქონდათ, საუბედუროდ, პოლიტიკური სცენიდან განიდევნნენ. ბაღაფში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა, ბევრი კითხვის ნიშანი იყო.

***– მოკლესო.***

– საუბედუროდ, მეგრულ-აფხაზური ფენომენი აფხაზეთში ავანსცენიდან განიდევნა და ხაჯიმბას ეპოქა დადგა, რომელიც თავიდან ბოლომდე პრორუსულია, პირდაპირ სპეცსამსახურებიდან იმართება და კონტროლდება.

***– მაშინ როგორ წარმოგიდგენიათ ჩვენი საგარეო კურსისა და აფხაზების საგარეო მიმართულებების დაახლოება და შეხების წერტილების მოძებნა?***

– საკმაოდ ძნელია ჩვენი და მათი საგარეო კურსის დამთხვევა, მაგრამ ამას წინ უნდა უძღოდეს მთელი რიგი პროცესები. პირდაპირ საგარეო კურსით რომ დაიწყო, შეუძლებელია რაიმე შეთანხმების მიღწევა, ხაჯიმბას ადმინისტრაცია მოლაპარაკების მაგიდასთან არავითარ შემთხვევაში არ დაჯდება. რუსები ერთი ერთზე არ დაგტოვებენ აფხაზებთან სალაპარაკოდ.

***– რუსეთის ამ პოლიტიკის შედეგი როგორ აისახება აფხაზეთსა და აფხაზებზე?***

– აფხაზეთში დემოგრაფიული სიტუაცია იცვლება აფხაზებისთვის ცუდი მიმართულებით. სომხურ-რუსული კომბინაციები დროთა განმავლობაში აფხაზებს აშკარად უმცირესობაში გადაიყვანს და განდევნის პოლიტიკური სივრციდან. ძნელი წარმოსადგენი არ არის, ასეთ ვითარებაში ჩატარებული არჩევნები რა შედეგით დამთავრდება. ეს უნდა გაიაზროს აფხაზურმა საზოგადოებამ და ლიხნის კრების მსგავსი კრება გამართოს, განგაშის ზარი შემოჰკრას, გააცნობიეროს, რა საფრთხე არსებობს და აირჩიოს შედარებით უკეთესი ვარიანტი.

***– შედარებით უკეთესი ვარიანტი რომელია?***

– აფხაზებს დიდი არჩევანი არ აქვთ – ან საქართველოს შემადგენლობაში უნდა დაბრუნდნენ, ან უნდა გაგრძელდეს ის, რაც იყო და არის ჩრდილოელი მეზობლის გამოისობით.

***– შეიძლება დადგეს ასეთი მომენტი, რომ ლიხნის კრება ჩატარდეს „შედარებით უკეთესი ვარიანტის“ ასარჩევად ანუ საქართველოს შემადგენლობაში დასაბრუნებლად?***

– როგორ არ შეიძლება? ლიხნის კრება თვითმიზანი კი არ არის, აუცილებლობაა.

***– ჩვენ გვახსოვს ანტიქართული ლიხნის კრება, რომელიც ჩვენთვის ტრაგიკულად დამთავრდა.***

– მაშინდელი ლიხნის კრება პროვოცირებული იყო კრემლისა და მისი სპეცსამსახურების მიერ.

***– ახლა შეიძლება იყოს ლიხნის კრება, რომელიც აფხაზეთს საქართველოსკენ შემოაბრუნებს?***

– ლიხნის კრებაზე სიმბოლურად მივუთითებ, თუმცა ლიხნის კრება მომენტალურად ჩატარდება, როგორც კი დემოგრაფიული საშიშროების პერსპექტივა და კონტურები გამოჩნდება. მეომართა კავშირი აფხაზეთში კბილებს ილესავს. ეს ასე უმტკივნეულოდ არ ჩაივლის. დიდი ძვრები იქნება.

მივესალმები მთავრობის გადაწყვეტილებას რუხში კომპლექსის აშენების თაობაზე. საავადმყოფოც იქნება, სადაც უმკურნალებენ აფხაზეთიდან გადმოსულ მოქალაქეებს. თბილისშიც ჩამოდიან, ზუგდიდშიც, მაგრამ ამას, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, გავლენა არ აქვს.

***– პოლიტიკაზე გავლენა არ აქვს.***

– ეს არის ინდივიდუალური სიმპათიის გამოხატულება. ტოტალურ დასკვნაში რომ გადავიდეს, ამის წინაპირობები, სამწუხაროდ, არ არის. ჩვენ ბევრი პრობლემა გვაქვს და ისინიც ამ პრობლემებს ძალიან კარგად ხედავენ.

***– პრობლემები გვაქვს, მაგრამ მთავარი ტერიტორიული პრობლემაა.***

– როდესაც ელემენტარულ სახელმწიფოებრივ საკითხებზე ვერ შეთანხმებულხარ, გადასაწყვეტი გაქვს მთელი რიგი პრობლემატური საკითხები და ერთმანეთში კონფრონტაცია სასიცოცხლო ინტერესების თემებზეა, ბუნებრივია, მათ უფრო მეტი პრობლემები ექნებათ. ამიტომ ნდობის აღსადგენად ჯერ შენს თავში უნდა ჩამოყალიბდე, ყველაფერი უნდა გააკეთო სახელმწიფოებრივი ატრიბუტების სწორად ფუნქციონირებისთვის.

***– ანუ მთავარია დაინტერესება?***

– როდესაც ჩამოყალიბდები და პრობლემებს მოაგვარებ, მაშინ იქნება დაინტერესება, გავლენა აფხაზეთსა და მის მკვიდრ წარმომადგენლებზე.

## მკურნალი მცენარეები

**ორკბილა** – ბალახოვანი მცენარეა. სიმაღლით 15-60 სმ, იშვიათად 10 სმ-მდე იზრდება.

კახეთში იჭი ეწოდება, რაჭაში – მამლიყივილა.

ორკბილას აგროვებენ აყვავებამდე ან ყვავილობის დასაწყისში. ამ დროს ჭრიან თოთო კენწეროებსა და ფოთლებს, ხოლო გვიანი შეგროვების დროს ჭრიან მხოლოდ გვერდითი ტოტების წვეროებს. აშრობენ ჩრდილში, სხვენზე ან ფარდულებში თხელ ფენად გაშლილს. გამხმარ ნედლეულს ინახავენ მშრალ, ბნელ ადგილას, ქაღალდის პარკებში. შენახვის ვადა ორი წელია.



ორკბილა შეიცავს ფლავონოიდებს, კუმარინებს, ასკორბინის მჟავას, კაროტინს, სათრიმლავ ნივთიერებებს, ლაქტონებს, ამინებს, დიდი რაოდენობით მანგანუმს.

ორკბილას ახასიათებს ანთებისა და ალერგიის საწინააღმდეგო თვისებები. მას ფართოდ იყენებენ დიათეზიანი ბავშვების სამკურნალოდ აბაზანების სახით.

ხალხურ მედიცინაში ორკბილას იყენებენ როგორც სუსტ შარდმდენ და ოფლისმომგვრელ საშუალებას, აგრეთვე სასუნთქი გზების დაავადების დროსა და მადის მომგვრელ საშუალებას. ზოგჯერ მას ხმარობენ რაქიტის, ნიკრისის ქარების, ღვიძლის დაავადების დროს. ორკბილას ახასიათებს სუსტი დამამშვიდებელი თვისება.

ორკბილას ნაყენის მოსამზადებლად 10 გრ (3 სუფრის კოვზი) ბალახი მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) მდუღარე წყალი და გააცხელეთ მდუღარე წყლის აბაზანაში 15 წუთი, შემდეგ გააცივეთ ოთახის ტემპერატურაზე 45 წუთის განმავლობაში. გადაწურეთ, დარჩენილი მასა გამოწურეთ. მიღებული ნაყენი შეავსეთ საწყის მოცულობამდე ანადუღარი წყლით (200 მლ), მიიღეთ 1/2-1/3 ჭიქა 2-3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

ოფლის და შარდმდენ საშუალებად ორკბილას ნაყენი შემდეგნაირად მზადდება: 1 სუფრის კოვზ ბალახს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე, გააჩერეთ 10 წუთი და მიიღეთ 2-3-ჯერ დღეში თითო სუფრის კოვზი. ასეთივე სახით მომზადებულ ნაყენს თუ გააჩერებთ 10-12 საათს თბილ ადგილას და შემდეგ 1/3-1/2 ჭიქას მიიღებთ 2-3-ჯერ, იგი კარგი სისხლგამწმენდი საშუალებაა.

აბაზანებისათვის ყოველ 10 ლიტრ წყალზე იღებენ 1 ჩაის ჭიქა ნაყენს, საზოგადოდ, ნაყენს ინახავენ გრილ ადგილას არაუმეტეს ორი დღე-ღამისა.

* * *

**დიდგულა** – მსხვილი ბუჩქნარია. ყვავილები წვრილია, სურნელოვანი, მოყვითალომოთეთრო, შეკრებილია მრავალყვავილედოვან ფარებად.

დიდგულას ქართლ-კახეთში დუდგულას ეძახიან, ზემო იმერეთში – ხეკროს, ქვემო იმერეთში – ანწლს, რაჭაში – ხრეკოლას, გურიაში – ხელთოფას. ვარაუდობენ რომ ამ მცენარის ლათინური სახელწოდება წარმოდგა ირანული მუსიკალური საკრავიდან – სამბუკი, რომელსაც დიდგულას ღეროდან ამზადებენ.

დიდგულა გვხვდება ფოთლოვანი ტყეების ქვეტყეებში, ბუჩქნარის ბარდებში, ხშირად ნახავთ ბაღებსა და პარკებში.

ნედლეულად ძირითადად იყენებენ ყვავილებს. აგროვებენ მთელ ყვავილედს მათი სრული გაშლის შემდეგ. აშრობენ ჩრდილში, შემდეგ კი, ხეხავენ ცხრილზე ყვავილის ყუნწის მოსაცილებლად. ნედლეულის შეგროვებისას შესაძლებელია შეყვეს მყრალი დიდგულა, რომლის მტვრიანები წითელი ფერისაა, აგრეთვე წითელი დიდგულა. წითელი დიდგულას ყვავილები უფრო პატარა ზომისაა, მომწვანო; ბუსუსიანი ყვავილის ყუნწით.



დიდგულას ქიმიური შემადგენლობა არ არის კარგად შესწავლილი. ცნობილია, რომ ყვავილი შეიცავს ოფლმდენ გლიკოზიდს, ფლავონურ გლიკოზიდ რუტინს, ეთერზეთის კვალს. გლიკოზიდი სამბუცინიგრინი აღმოჩენილია მხოლოდ ახალ ყვავილში, გაშრობის შემდეგ ის ორთქლდება.

დიდგულას პრეპარატებს იყენებენ როგორც ოფლმდენ საშუალებას გაცივების, ქრონიკული ბრონქიტის, ბრონტოექტაზების დროს. ასევე იყენებენ გრიპისა და ანგინის საწინააღმდეგოდაც. მისი პრეპარატები გამოიყენება აგრეთვე ღვიძლის ზოგიერთი დაავადების, ხოლო როგორც შარდმდენი საშუალება – თირკმლის დაავადების დროს, თუ თან ახლავს შეშუპება.

ყვავილის ნახარშს ივლებენ პირის ღრუსა და ცხვირ-ხახაში ანთებითი პროცესების და რინიტისა და ანგინის დროს. გარდა ამისა მას იყენებენ საფენების სახით დამწვრობის, ჭრილობებისა და ძირმაგარების დროს, მიოზიტების, ნევრალგიისა და სახსრების ტკივილებისას. ბუასილის დროს რეკომენდებულია ყვავილის ნაყენის ან ნახარშის აბაზანის მიღება. დიდგულას ყვავილის ნაყენის მისაღებად აიღეთ 5 გ (1 სუფრის კოვზი) ნედლეული, მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) მდუღარე წყალი, დაახურეთ თავსახური და გააცხელეთ წყლის აბაზანაში 15 წთ-ის განმავლობაში. გააცივეთ 45 წთ, გაწურეთ და დაასხით ანადუღარი წყალი საწყისი მოცულობის (200 მლ) მიღებამდე. ნაყენი შეინახეთ გრილ ადგილას არაუმეტეს 2 დღე-ღამისა. მიიღეთ თბილი სახით 1/2 – 1/3 ჭიქა 2-3-ჯერ დღეში.

დიდგულას ნაყოფს ხალხურ მედიცინაში იყენებენ როგორც სუსტ საფაღარათო საშუალებას, ხოლო ქერქის ნახარშს – როგორც ოფლმდენ და შარდმდენ საშუალებას.

დიდგულას ნაყოფისაგან ტკბილი ნაყენის მისაღებად აიღეთ დიდგულას 200 გ სიროფი (ვაჟინი) 1 ლ არაყი და 1 ჩაის ჭიქა წყალი. სიროფი გახსენით წყალში, დაუმატეთ არაყი და დადგით 3-4 დღე.

დღეგრძელთა სასმელის მისაღებად 1 სუფრის კოვზ გამშრალ ნაყოფს დაასხით 0,5 ლ წყალი, მოხარშეთ, გაწურეთ, დაუმატეთ 2 სუფრის კოვზი თაფლი და მიიტანეთ სუფრასთან ცხელი სახით.

# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოების, პროსტატის ყველა ფორმის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ აპარატსა და სქესობრივი კონტაქტის დასამყარებელ „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავისმკურნალობა,კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# დნესტრისპირეთს რუსეთთან შეერთება სურს



ე.წ. დნესტრისპირეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა შევჩუკმა განაცხადა, რომ რუსეთთან შეერთება სურს. სეპარატისტების ლიდერმა რეფერენდუმის შედეგები ააფრიალა, რომელიც 2006 წელს ჩატარდა. მასზე დნესტრისპირელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი რუსეთთან შეერთებას დაუჭირა.

– ეს ხალხის ნებაა და ამას უნდა ანგარიში გავუწიოთ, – ამბობს შევჩუკი.

2006 წლის რეფერენდუმი ფრიად სპეციფიკურ გარემოში ჩატარდა. დნესტრისპირეთის იმჟამინდელი „პრეზიდენტის“ სმირნოვის პოზიცია მყიფე იყო. სმირნოვმაც პოპულისტური ლოზუნგი ააფრიალა: რუსეთთან შეერთება. ამან გაჭრა. რუსეთთან შეერთებას მხარი მოსახლეობის 80%-მა დაუჭირა. სმირნოვმაც ამ ტალღაზე ძალაუფლება შეინარჩუნა.

დნესტრისპირეთის ამჟამინდელი ლიდერი შევჩუკი ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მისი ძალაუფლება შეირყა. შევჩუკმაც ნაცადი სქემა აამოქმედა: დნესტრისპირეთის მოსახლეობამ რუსეთთან შეერთებას მხარი დაუჭირა, დადგა დრო, რათა ამის რეალიზება მოხდეს.

მოლდოვის ხელმძღვანელობამ სეპარატისტების მოთხოვნა უარყო. არგუმენტი მოკლე და ლაკონიურია: რეფერენდუმი თვითმარქვია ხელისუფლების მიერ ჩატარდა, შესაბამისად, მას არ შეიძლება, კანონის ძალა ჰქონდეს.

რუსეთის დუმის ზოგმა დეპუტატმა „დნესტრისპირელი ხალხის“ მხარდაჭერა მოითხოვა:

– ჩატარდა რეფერენდუმი, მოსახლეობამ თავისი ნება გამოხატა, – აცხადებს ვლადიმერ ჟირინოვსკი.

# ქერი და ლავროვი სირიაში ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ

ჟენევაში რუსეთის საგარეო მინისტრი ლავროვი თავის ამერიკელ კოლეგა ჯონ ქერის შეხვდა.

ამერიკელები მოითხოვდნენ, რომ ალეპოსთან ცეცხლი შეწყვეტილიყო და ასადის შეიარაღებულ ძალებს ზომიერი სირიელი პარტიზანების დაბომბვა შეეწყვიტათ. ლავროვი თითქოს თანახმა იყო, თუმცა აცხადებდა, რომ აღნიშნული საკითხი ასადთანაც უნდა იყოს შეთანხმებული.



მოლაპარაკებები ჩაშლის პირას რამდენიმეჯერ მივიდა, თუმცა არც ლავროვს, არც ქერის ეს არ სურდათ. ბოლოს და ბოლოს, მხარეები მივიდნენ შეთანხმებამდე: ცეცხლი სირიაში 12 სექტემბრიდან უნდა შეწყდეს; რუსეთი იღებს ვალდებულებას, რომ ასადზე ზეგავლენა იქონიოს და ცეცხლის შეწყვეტა აიძულოს. თავის მხრივ, ქერიმაც განაცხადა, სირიის თავისუფალ არმაის ვაიძულებ, სამხედრო მოქმედებები შეწყვიტოსო.

რუსები და ამერიკელები იმაზეც შეთანხმდნენ, რომ განისაზღვრება ის ადგილები, სადაც სირიის თავისუფალი არმიაა გამაგრებული.

– ამ ადგილებს არც ასადი და არც ჩვენ არ დავბომბავთ, – განაცხადა ლავროვმა.

ამრიგად, შეთანხმება დაიდო. ამას მიესალმნენ როგორც ქერი და ლავროვი, ასევე ასადი და სირიის თავისუფალი არმია.

# ამერიკის დაზვერვის ყოფილი თანამშრომელი რუსეთს ბრალს სდებს



ცნობილი ინგლისელი ჟურნალისტი ალან რაბინჯერი მოსკოვის ერთ-ერთ ოტელში ამერიკის დაზვერვის ყოფილ თანამშრომელ ედვარდ სნოუდენს შეხვდა.

საუბარი დემოკრატიული პარტიის სერვერის შემტვრევასა და საიდუმლო დოკუმენტების გატაცებას შეეხებოდა. სნოუდენმა განაცხადა, რომ ამ ჰაკერული შეტევის უკან შესაძლოა რუსეთი იდგეს.

– რუსეთში ანტიდასავლური, ანტიდემოკრატიული ტენდენციები გაძლიერდა, – თქვა სნოუდენმა.

ექსპერტების აზრით, სნოუდენის ინტერვიუ ფსბ-ს დახმარებით შედგა. ამით პუტინს სურს აჩვენოს, რომ რუსეთში დემოკრატიაა და არა – ავტორიტარული რეჟიმი.

# ჯონ ჰინკლი გაათავისუფლეს



გაათავისუფლეს ჯონ ჰინკლი, რომელმაც 1981 წელს პრეზიდენტ რეიგანზე თავდასხმა განახორციელა.

ჰინკლიმ ფსიქიატრიულ კლინიკაში 35 წელი გაატარა.

მოსამართლის გადაწყვეტილების თანახმად, 61 წლის ჰინკლი საზოგადოებისა და საკუთარი თავისთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენს.

ჰინკლი ვირჯინიაში დედის სახლში იცხოვრებს.

რონალდ რეიგანი და მისი 3 თანხმლები პირი ცეცხლის გახსნის შედეგად დაშავდნენ. ჯონ ჰინკლი პრეზიდენტს თავს მსახიობ ჯოდი ფოსტერზე შთაბეჭდილების მოსახდენად დაესხა.

# პოროშენკო: „უკრაინაში რუსეთის დუმის არჩევნები არ ჩატარდება“



უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა, რომ მის ქვეყანაში რუსეთის დუმის არჩევნები არ ჩატარდება.

– ყირიმი უკრაინის ტერიტორიაა! იქ ნებისმიერი არჩევნების ჩატარება უკანონოა, – თქვა პოროშენკომ.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამის თაობაზე ოფიციალური განცხადება გააკეთა.

# საფრანგეთში ტერორისტებს იჭერენ




საფრანგეთის პოლიციამ ტერორისტების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ოპერაცია ჩაატარა. განადგურებულია იატაკქვეშა სტრუქტურები პარიზში, მარსელში, ტულუზასა თუ სხვა ქალაქებში. დაპატიმრებულია 293 ტერორისტი.

ასეთი ფართომასშტაბიანი ანტიტერორისტული ოპერაცია საფრანგეთში კარგა ხანია არ ჩატარებულა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# სიონმა პირველად მოიგო, ტორპედო ისევ აგებს

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტური.

### წითელი ჯგუფი

**სიონი-ზუგდიდი 4:1**

**ბოლნისი. თამაზ სტეფანია**

1:0 ძარია (30). 2:0 სუშკინი (45), 3:0 კობახიძე (59), 3:1 ნარმანია (75), 4:1 ჯანელიძე (90პ)

**სიონი:** დაუშვილი, ფოფხაძე, კასრაძე, თოთაძე, გაფრინდაშვილი, ხურცილავა (გიორბელიძე 67), ძარია, ჯანელიძე, ვოლკოვი (კალონასი 88), კობახიძე, სუშკინი (ფერნანდესი 71)

**ზუგდიდი:** ლიტოვჩენკო, აქუბარდია, აფაქიძე, ბამბა, აბდულ აზიზი, ტყემალაძე, ბეჭვაია, კაპაროს (ნარმანია 30) რუიზი, ერმაჩენკო (ჯავაშვილი 46), წურწუმია, სამუშია (მაჩაიძე 58)

როგორც ჩანს, სანაკრებო პაუზა სიონმა სათავისოდ გამოიყენა და პირველი გამარჯვებაც მიითვალა.

ბოლნისელებმა უპირატესობა პირველივე წუთზე მოიპოვეს და მთელი თამაშის განმავლობაში დომინირებდნენ. მასპინძლებს მატჩის დებიუტშივე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა: ხურცილავამ მარჯვენა ფრთაზე კარგად ითამაშა, საჯარიმოში ჩააწოდა, სუშკინი თავით გზავნიდა ბურთს კარში, მაგრამ მეკარემ ზუსტად ითამაშა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს ახალგაზრდა ლეგიონერის, ვიაჩესლავ სუშკინის დებიუტი იყო და მის ანგარიშზე გოლი და საგოლე პასი დაგროვდა.

სიონმა რამდენიმე ნახევარმომენტის შემდეგ გოლებიც გაიტანა. ჯერ იყო და კუთხურის შემდეგ ირაკლი ძარიამ ითამაშა ზუსტად და ანგარიში გახსნა, შემდეგი გოლი კი მასპინძლებმა მეტოქეს გასახდელში გააყოლეს — ვოლკოვი-ჯანელიძე-სუშკინის კომბინაცია შედეგიანი გამოდგა.

მეორე ტაიმი სიონმა კვლავ პირველ ნომრად დაიწყო და თავისი თამაში მეტოქეს თავს შემოახვია. 59-ე წუთზე ანგარიში სამამდე კობახიძემ გაზარდა — 3:0.

ამის შემდეგ სიონის სამწვრთნელო შტაბმა ცვლილებებს მიმართა, მოედნიდან თავდამსხმელი სუშენკო გაიყვანა და საყრდენი ნახევარმცველი სანტოს ფერნანდესი შემოიყვანა. გუნდის ტაქტიკურად გადაწყობის პროცესში, სტუმრებმა ისარგებლეს და ერთი გოლის გაქვითვა შეძლეს. მატჩის ბოლოს კი მე-4 გოლიც გაიტანეს — ზუგდიდელთა დაცვამ საჯარიმოში ჯანელიძე წესების დარღვევით შეაჩერეს



და მსაჯმაც პენალტი დანიშნა, რომელიც ჯანელიძემ თავად შეასრულა — 4:1.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 4 | 3 | 1 | 0 | 11-2 | 10 |
| 2.კოლხეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 4-5 | 9 |
| 3.დილა | 3 | 2 | 0 | 1 | 7-5 | 6 |
| 4.სამტრედია | 3 | 1 | 2 | 0 | 7-4 | 5 |
| 5.საბურთალო | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 6.სიონი | 5 | 1 | 0 | 4 | 7-11 | 3 |
| 7.ზუგდიდი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-11 | 0 |

### თეთრი ჯგუფი

**ცხინვალი-ლოკომოტივი 1:2**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

0:1, 0:2 დიასამიძე (11, 61), 1:2 დვალი (80)

**ცხინვალი:** ნადირაძე, მახარობლიძე, ქარდავა, ბაჩიაშვილი, თომაშვილი, მაისაშვილი, ცერცვაძე, კახელიშვილი (შინდაგორიძე 46), სულთანიშვილი, ქოჩლაძე (მაქაცარია 58), დვალი

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ჩიტეიშვილი, გეთიაშვილი, კლიმიაშვილი, ჩაგელიშვილი, კუხიანიძე, დიასამიძე, კიკაბიძე (ზარანდია 46), ხიდეშელი, გაბაძე (ცხადაძე 82), არდაზიშვილი (ქიქავა 46)

**გაძევება:** კაჭარავა (65)

მატჩი ლოკომოტივის უპირატესობით დაიწყო და მე-11 წუთზე მეტოქის საჯარიმოში აღმოჩენილმა გიორგი დიასამიძემ მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში დაარტყა და ანგარიშიც გაიხსნა. ტაიმის ბოლომდე ორივე გუნდს ჰქონდა რამდენიმე მომენტი, მაგრამ ხან მეკარეები ყოჩაღობდნენ და ხანაც თავდამსხმელები სცოდავდნენ.

მოგებული პირველი ტაიმის მიუხედავად, შესვენებაზე ლოკომოტივის თავკაცმა ჟერარ სარამგოსამ 2 ცვლილება განახორციელა — კიკაბიძის ნაცვლად მოედანზე ზარანდია შევიდა, არდაზიშვილი კი ქიქავამ შეცვალა. ერთი ცვლილება კახა კაჭარავამაც გამოიყენა და კახელიშვილის ადგილას ლაშა შინდაგორიძის გამოყენება გადაწყვიტა.

59-ე წუთზე ჩაგელიშვილმა და დიასამიძემ კომბინაცია გაითამაშეს და რკინიგზელთა უპირატესობა კომფორტული იქცა, ხოლო დიასამიძემ დუბლი გაიფორმა — 0:2.

65-ე წუთზე მსაჯთან კამათის გამო ცხინვალის მთავარი მწვრთნელი კახა კაჭარავა სათადარიგოთა სკამიდან გააძევეს.

უმწვრთნელოდ დარჩენილმა ცხიმვალმა მაინც გაიბრძოლა და 77-ე წუთზე ლოკომოტივის კარის მიმართლებით დანიშნული საჯარიმო დარტყმის შესასრულებლად ჯაბა დვალი მივიდა, რომლის დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა — 1:2.

ორ წუთში ხელსაყრელი პოზიციიდან საჯარიმო დარტყმა ლაშა შინდაგორიძემაც შეასრულა, მაგრამ ააცილა.

ბოლოს მომენტები ლოკომოტივსაც ჰქონდა, მაგრამ მეტი აღარ გასულა.

**გურია-ტორპედო 2-1**

**ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე**

1:0 მოროზენკო (26), 1:1 კვერნაძე (55), 2:1 ჩადუნელი (68)

**გურია:** იმერლიშვილი, მეგრელიშვილი, ჭეიშვილი (გელაშვილი 90), ჩადუნელი, ნოზაძე, მოროზენკო, კირკიტაძე, ჭეჭელაშვილი, ჭედია (ფელიპე 80), დინიზი (იმნაძე 86), მურაშოვი

**ტორპედო:** კვასხვაძე, კოლინი, გურული, ტაბატაძე, ნერგაძე, ბაბუნაშვილი, დოლიძე, ენდელაძე (კვერნაძე 46), ფალავანდიშვილი, ბრეგვაძე (წილოსანი 76), კაპანაძე (კვარაცხელია 71)

**გაძევება:** კვარაცხელია (90)

გურიასთან მარცხმა უკიდურესამდე დაამძიმა ტორპედოელთა სატურნირო მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან სტუმართა ტერიტორიული უპირატესობა გამოიკვეთა, პირველ ტაიმში ლანჩხუთელები უფრო სახიფათონი იყვნენ შეტევაში. მე-20 წუთზე როინ კვასხვაძემ აშკარა გოლისგან იხსნა თავისი გუნდი, როდესაც ევგენი მურაშოვის თავურის შემდეგ ბურთის კუთხურზე გადაგდება მოასწრო. მალევე თენგიზ ბრეგვაძე გაიჭრა მასპინძელთა ნახევარზე და საჯარიმოს გარედან სცადა გატანა, მაგრამ მიზანს ააცილა.

პირველი გოლი ტორპედოელებმა იურგენ კოლინის შეცდომის შედეგად მიიღეს, რომელმაც მოედნის ცენტრთან ახლო უწყინარ სიტუაციაში მეტოქეს ჩააბარა ბურთი, ლანჩხუთელებმაც უმალ ისარგებლეს შანსით, სწრაფი შეტევა განახორციელეს, რომელიც ზუსტი დარტყმით ევგენი მოროზენკომ დაასრულა. ამის შემდეგ ქუთაისელები მეტად უტევდნენ, მაგრამ არცთუ მწვავედ, თორნიკე კაპანაძის და გიორგი გურულის თავური დარტყმები არაზუსტი იყო.

მე-2 ტაიმის დაწყებამდე არასასიამოვნო ინციდენტს ჰქონდა ადგილი. კობა ჟორჟიკაშვილის ასისტენტი გიგა კუტივაძე იმ სექტორთან მივიდა, სადაც ტორპედოს ფანები იმყოფებოდნენ და თხოვნით მიმართა, მწვრთნელის ლანძღვისგან თავი შეეკავებინათ. ურთიერთშელაპარაკებას ორივე მხრიდან შეურაცხმყოფელი შეძახილები მოჰყვა. ინციდენტი კი იმით ამოიწურა, რომ არბიტრმა კუტივაძე გააძევა.

თამაშის განახლების შემდეგ ტორპედოელები გააქტიურდნენ. შეცვლაზე შესულმა ოთარ კვერნაძემ მასპინძელთა საჯარიმოში შექმნილ არეულობაში ანგარიშის გათანაბრება მოახერხა.

მალევე გურულები ისევ დაწინაურდნენ. სტანდარტულის შემდეგ გია ჩადუნელმა ტორპედოელ ცენტრალურ მცველებს საჰაერო დუელში აჯობა — 2:1 და მატჩიც ასე დამთავრდა.

ტორპედოელთა წაგებას საფინალო სასტვენის შემდეგ ისიც დაემატა, რომ არბიტრმა წითელი ბარათი უჩვენა ვახტანგ კვარაცხელიას, როგორც თამაშის ოქმში ჩაიწერა, მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის.

ასევე მატჩის შემდეგ ტორპედოელ ფანებთან კობა ჟორჟიკაშვილი მივიდა. მწვრთნელმა მოიბოდიშა, საკუთარ თავზე აიღო გურიასთან მარცხი და გუნდიდან წასვლაზეც თქვა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩიხურა | 4 | 3 | 1 | 0 | 9-3 | 10 |
| 2.დინამო (თბ) | 3 | 2 | 1 | 0 | 7-2 | 7 |
| 3.ლოკომოტივი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 4.გურია | 5 | 1 | 2 | 2 | 3-6 | 5 |
| 5.ცხინვალი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-7 | 4 |
| 6.შუქურა | 4 | 0 | 2 | 2 | 2-6 | 2 |
| 7.ტორპედო | 4 | 0 | 2 | 2 | 1-5 | 2 |

## ალექსანდრე ამისულაშვილმა სანაკრებო კარიერა დაასრულა



საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა ალექსანდრე ამისულაშვილმა ეროვნულ ნაკრებში კარიერა დაასრულა.

ამისულაშვილის დებიუტი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 2002 წელს საქართველო — სამხრეთ აფრიკის ამხანაგური დაპირისპირებისას შედგა და მას შემდეგ, 2016 წლის ჩათვლით, მან ნაკრების მაისურით 50-ჯერ ითამაშა და 4 გოლი გაიტანა.

ლევან კობიაშვილი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:

— მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ალექსანდრეს. ყველა ფეხბურთელისთვის ძალიან ძნელია ამ გადაწყვეტილების მიღება. მან გადაწყვიტა, დაასრულოს სანაკრებო კარიერა, თუმცა რჩება ნაკრების გულშემატკივრად და ახლა უკვე ქომაგთა რიგებიდან გაამხნევებს ჩვენს ბიჭებს.

ვლადიმირ ვაისი, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

— ამისულაშვილი ძალიან გამოცდილი ფეხბურთელია და ამ ნახევარი წლის მანძილზე გვერდში მედგა. გამოცდილების მქონე ფეხბურთელის აზრი ჩემთვის გასათვალისწინებელი იყო, განსაკუთრებით ნაკრების ფეხბურთელებთან ურთიერთობისას. ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ მომავალ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

# შედეგები

## 11 სექტემბერი

**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

მანჩესტერი-სიტი ............ 1:2
არსენალი-საუთჰემპტონი ............ 2:1
ბორნმუთი-ვესტ ბრომვიჩი ............ 1:0
ბარნლი-ჰალი ............ 1:1
მიდლსბრო-კრ.პალასი ............ 1:2
სტოკი-ტოტენჰემი ............ 0:4
ვესტ ჰემი-უოტფორდი ............ 2:4
ლივერპული-ლესტერი ............ 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 4 | 4 | 0 | 0 | 11-4 | 12 |
| 2.ჩელსი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-2 | 9 |
| 3.მანჩესტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 9 |
| 4.ტოტენჰემი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-2 | 8 |
| 5.ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 9-7 | 7 |
| 6.არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-6 | 7 |
| 7.ჰალი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 8.ევერტონი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 9.მიდლსბრო | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 10.უოტფორდი | 4 | 1 | 1 | 2 | 7-8 | 4 |
| 11.კრ.პალასი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 12.ვესტ ბრომვიჩი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-3 | 4 |
| 13.ბორნმუთი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 14.ბარნლი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 15.ლესტერი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 16.სუონსი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 17.ვესტ ჰემი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-9 | 3 |
| 18.საუთჰემპტონი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |
| 19.სანდერლენდი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| 20.სტოკი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-10 | 1 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბრაიტონი-ბრენტფორდი ............ 0:2
ფულემი-ბირმინგემი ............ 0:1
ლიდსი-ჰადერსფილდი ............ 0:1
ნორვიჩი-კარდიფი ............ 3:2
პრესტონი-ბარნსლი ............ 1:2
ქპრ-ბლექბერნი ............ 1:1
როტერჰემი-ბრისტოლი ............ 2:2
უენსდი-უიგანი ............ 2:1
ვულვზი-ბარტონი ............ 1:1
დერბი-ნიუკასლი ............ 0:2

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

სელტა-ატლეტიკო ............ 0:4
რეალი-ოსასუნა ............ 5:2
სევილია-ლას პალმასი ............ 2:1
მალაგა-ვილიარეალი ............ 0:2
ბარსელონა-ალავესი ............ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-3 | 9 |
| 2.სევილია | 3 | 2 | 1 | 0 | 8-5 | 7 |
| 3.ლას პალმასი | 3 | 2 | 0 | 1 | 10-5 | 6 |
| 4.ბარსელონა | 3 | 2 | 0 | 1 | 8-4 | 6 |
| 5.ატლეტიკო | 3 | 1 | 2 | 0 | 5-1 | 5 |
| 6.ვილიარეალი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-1 | 5 |
| 7.ალავესი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 8.დეპორტივო | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 9.ხიხონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 10.ლეგანესი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 11.სოსიედადი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 12.ეიბარი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 13.ესპანიოლი | 3 | 0 | 2 | 1 | 7-9 | 2 |
| 14.მალაგა | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| 15.გრანადა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-6 | 1 |
| 16.ბეტისი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-6 | 1 |
| 17.ოსასუნა | 3 | 0 | 1 | 2 | 3-8 | 1 |
| 18.ბილბაო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 19.ვალენსია | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| 20.სელტა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლუგო-სევილია ბ ............ 1:0
რეუსი-ნუმანსია ............ 1:1
ტენერიფე-ვალიადოლიდი ............ 1:0
ლევანტე-სარაგოსა ............ 4:2

### გერმანია. ბუნდესლიგა

ლევერკუზენი-ჰამბურგი ............ 3:1
ვოლფსბურგი-კიოლნი ............ 0:0
ინგოლშტადტი-ჰერტა ............ 0:2
დარმშტადტი-აინტრახტი ............ 1:0
ფრაიბურგი-გლადბახი ............ 3:1
ლაიპციგი-დორტმუნდი ............ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| 2.ჰერტა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 3.კიოლნი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 4.ვოლფსბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 5.ლაიფციგი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 6.ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 7.ფრაიბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 8.დორტმუნდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 9.აინტრახტი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 10.გლადბახი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 11.დარმშტადტი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 12.ჰოფენჰაიმი | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 13.ჰამბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 14.ინგოლშტადტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 15.მაინცი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 16.აუგსბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 17.შალკე | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| 18.ვერდერი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-6 | 0 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ზ.პაული-არმინია ............ 2:1
უნიონი-კარლსრუე ............ 4:0

### იტალია. სერია ა

იუვენტუსი-სასუოლო ............ 3:1
პალერმო-ნაპოლი ............ 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 9 |
| 2.ნაპოლი | 3 | 2 | 1 | 0 | 9-4 | 7 |
| 3.ჯენოა | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 4.სამპდორია | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 5.რომა | 2 | 1 | 1 | 0 | 6-2 | 4 |
| 6.პესკარა | 2 | 1 | 1 | 0 | 5-2 | 4 |
| 7.ტორინო | 2 | 1 | 0 | 1 | 7-4 | 3 |
| 8.კიევო | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 9.ლაციო | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 10.ფიორენტინა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 11.მილანი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-6 | 3 |
| 12.უდინეზე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| 13.ბოლონია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-5 | 3 |
| 14.სასუოლო | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 3 |
| 15.კალიარი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |
| 16.ინტერი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 17.პალერმო | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 18.ატალანტა | 2 | 0 | 0 | 2 | 4-6 | 0 |
| 19.კროტონე | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 20.ემპოლი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

### იტალია. სერია ბ

აველინო-ტრაპანი ............ 0:0
ასკოლი-სპალი ............ 1:1
ბენევენტო-ვერონა ............ 2:0
ბრეშა-პერუჯა ............ 1:1
ვიჩენცა-ბარი ............ 0:0
ნოვარა-სალერნიტანა ............ 1:0
პრო ვერჩელი-ჩიტადელა ............ 1:5
ფროზინონე-ლატინა ............ 2:1

### საფრანგეთი. 1 ლიგა

ლიონი-ბორდო ............ 1:3
ლორიანი-ნანსი ............ 0:2
ლილი-მონაკო ............ 1:4
ბასტია-ტულუზა ............ 2:1
ანჟე-დიჟონი ............ 3:1
გენგამი-მონპელიე ............ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 4 | 3 | 1 | 0 | 10-4 | 10 |
| 2.ბორდო | 4 | 3 | 0 | 1 | 8-7 | 9 |
| 3.გენგამი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-4 | 8 |
| 4.პსჟ | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 5.ნიცა | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| 6.ლიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 8-7 | 6 |
| 7.კაენი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 8.ბასტია | 4 | 2 | 0 | 2 | 5-4 | 6 |
| 9.მეცი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-5 | 6 |
| 10.ტულუზა | 4 | 1 | 2 | 1 | 5-3 | 5 |
| 11.სტ.ეტიენი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 5 |
| 12.მონპელიე | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 13.მარსელი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 14.რენი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 15.ლილი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| 16.ნანტი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-2 | 3 |
| 17.დიჟონი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-7 | 3 |
| 18.ანჟე | 4 | 1 | 0 | 3 | 3-5 | 3 |
| 19.ნანსი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-7 | 3 |
| 20.ლორიანი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-10 | 0 |

### საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლე ავრი-ვალანსიენი ............ 2:2

### ჰოლანდია. ერედივიზიონი

ალკმაარი-ტილბურგი ............ 2:0
ზვოლე-უტრეხტი ............ 1:1
ნაიმეგენი-პსვ ............ 0:4
ჰერენვენი-ტვენტე ............ 3:1
ექსელსიორი-ერაკლესი ............ 3:1

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ბელენენსეში-ნასიონალი ............ 2:1
სპორტინგი-მორეირენშე ............ 3:0
პორტუ-გიმარაეში ............ 3:0

### რუსეთი. პრემიერლიგა

ამკარი-ტომი ............ 1:0
ორენბურგი-ანჟი ............ 0:0
ცსკა-ტერეკი ............ 3:0

### შოტლანდია. პრემიერლიგა

სელტიკი-რეინჯერსი ............ 5:1
აბერდინი-ინვერნესი ............ 1:1
პარტიკი-სტ.ჯონსონი ............ 0:2
როსი-მოზერველი ............ 1:1
დანდი-კილმანროკი ............ 1:1
ჰარტსი-ჰამილტონი ............ 3:1

### შვეიცარია. სუპერლიგა

ბაზელი-გრასჰოპერსი ............ 3:1
იანგ ბოიზი-ლუცერნი ............ 2:1

### ავსტრია. ბუნდესლიგა

შტურმი-რაპიდი ............ 1:1
აუსტრია-ვოლფსბერგერი ............ 4:1
ალტახი-მატერსბურგი ............ 2:1
სტ.პოლენი-რიდი ............ 2:3

### ბელგია. 1 დივიზიონი

ეუპენი-ოსტენდე ............ 2:1
კორტრაიკი-ვესტერლო ............ 4:1
მეხელენი-სტ.ტრუიდენი ............ 2:0
მუსკრონი-ვარეგემი ............ 1:5

### თურქეთი. სუპერლიგა

ბაშაკშეჰირი-ქაშიმფაშა ............ 3:1
ქაისერი-გალათასარაი ............ 1:1
ადანა-გაზიანთეპი ............ 0:0
გენჩლერი-ანთალია ............ 0:0
ბეშიქთაში-ქარაბუქი ............ 3:1

### საბერძნეთი. სუპერლიგა

კერკირა-პლატანიასი ............ 0:1
პანიონიოსი-ასტერასი ............ 3:0
ლევადიაკოსი-პანათინაიკოსი ............ 0:3

### ჩეხეთი. სინოტ ლიგა

სპარტა-ბოლესლავი ............ 2:2
ჰრადეც კრალოვე-პრჟიბრჟამი ............ 2:0
კარვინა-იიჰლავა ............ 3:0
ლიბერეცი-პლზენი ............ 1:2

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

პიასტი-ლენჩნა ............ 3:3
კორონა-არკა ............ 1:0
ნეცეჩა-ლეგია ............ 2:1

### უკრაინა. პრემიერლიგა

ზორია-სტალი ............ 2:2

### დანია. სუპერლიგა

ვიბორგი-ჰორსენსი ............ 2:4
კოპენჰაგენი-ოდენსე ............ 2:0

### შვედეთი. ალსვენსკა

ელფსბორგი-კალმარი ............ 1:1

### ნორვეგია. ტიპელიგა

ვოლერენგა-სტრომგოდსეტი ............ 1:1
ბრანი-ვიკინგი ............ 0:0

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## პრინცი ჰარი სამეფო ოჯახის ყველაზე სექსუალურ წარმომადგენლად დაასახელეს



ბრიტანეთის პრინცი ჰარი სამეფო ოჯახის ყველაზე სექსუალურ წევრად იქნა აღიარებული. ამ ინფორმაციას ბრიტანული პრესა ავრცელებს.

ქალაქ მანჩესტერის ქროუვ ქლინიქის ცენტრის თანამშრომელმა, რომელიც თმების გადანერგვაზე სპეციალიზდება, ათასი ქალბატონის გამოკითხვის შედეგად დაადგინა, რომ ყველაზე სექსუალური პრინცი ჰარია. მეორე ადგილი ერგო შვედეთის პრინც კარლ ფილიპს, ხოლო მესამეზე აღმოჩნდა მონაკოს თავად რენე III-ს შვილიშვილი ანდრეა კაზირაგი.

პირველ ათეულში ასევე მოხვდნენ შეიხი ჰამდან ბინ მოჰამედ ალ-მაკტუმი, პრინცი ფელიქს ლუქსემბურგელი, ლიხტენშტეინის პრინცი ვენცესლაუსი, ესპანეთის მეფე ფილიპე VI და ბელგიის პრინცი ამედეო. პრინც ჰარის ძმა, პრინცი უილიამი ამ რეიტინგში მეცხრე ადგილზე აღმოჩნდა, ხოლო ბოლო მეათე ადგილზე გავიდა ბრიტანეთის პრინცესა ანას შვილი პიტერ ფილიპსი.

## სინდი კროუფორდის ქალიშვილი დააჯილდოვეს



სუპერმოდელ სინდი კროუფორდის ქალიშვილმა 15 წლის კაია გერბერმა ნიუ იორკში ცერემონია ფეშენ მედია ევორდის დროს მიიღო ჯილდო „წლის აღმოჩენა“.

გოგონას პრიზი გადასცა ამერიკელმა მოდელიერმა მარკ ჯეიკობსმა. აღსანიშნავია, რომ გერბერი ასევე კოსმეტიკისა და პარფიუმერიის მარაზია მარკ ჯაკობს ბიუთის სახე გახდა.

მანეკენი ცერემონიაზე, რომელიც ონლაინ-გამოცემა დეილი ფრონთ როუს ორგანიზებული იყო, თავის ოჯახთან: სინდი კროუფორდთან, მამა რანდ ჯერბერტა და ძმა პრესლი გერბერთან ერთად ჩავიდა.

კაიამ მიმდინარე წლის მარტში დიზაინერ ალექსანდრ ვონგის სარეკლამო კამპანიაში მიიღო მონაწილეობა, ხოლო მანამდე, თებერვლის დასაწყისში, სუპერმოდელის ქალიშვილი ბრენდ Chrome Heart-ის სახე გახდა.

## ამერიკელმა სკეიტბორდისტმა 144 კილომეტრი საათში სიჩქარე განავითარა




ამერიკელმა კაილ უესტერმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, როდესაც გორაკიდან სკეიტბორდით დაშვებისას 143,89 კილომეტრი საათში სიჩქარე განავითარა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო იუთუბიზე იქნა გამოქვეყნებული.

ჯერჯერობით გაურკვეველია, უესტრის აღნიშნულ მიღწევას ჩათვლიან თუ არა გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლები.

ამ დისციპლინაში ოფიციალური რეკორდად ითვლება 129,94 კილომეტრი საათში სიჩქარე, რომელიც კანადელმა მიშო ერბანმა 2012 წელს აჩვენა. არაოფიციალურ რეკორდად კი ითვლება შედეგი 130,63 კილომეტრი საათში, რომელიც მიმდინარე წელს ერიკ ლანდბერგმა დააფიქსირა.

## კატა ილეთების შესრულებაში რეკორდსმენი გახდა




ავსტრალიელმა კატამ, სახელად დიჯამ, მსოფლიო რეკორდი დაამყარა, როდესაც ერთი წუთის განმავლობაში 20 ილეთი შეასრულა. მისი ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე გინესის რეკორდების წიგნის არხზე გამოქვეყნდა. ორ დღეში ვიდეორგოლი 52 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

კლიპში დიჯა სხვადასხვა ბრძანებას ასრულებს, რომელსაც მას მისი პატრონი რობერტი აძლევს. კატა სხვადასხვა მოძრაობებს აკეთებს, მათ შორის პატრონს ხელებში უხტება და სკეიტბორდით სეირნობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 12 წლის გერმანელი ბებიასთან მშობლების მანქანით გაემგზავრა

გერმანიაში 12 წლის ბიჭმა საკუთარი მშობლების მიკროავტობუსი გაიტაცა, რათა პაპა-ბებია მოენახულებინა.




ინციდენტი საქსონიის ქალაქ ლიმბახ-ობერფრონში მოხდა. მშობლებმა პოლიციას თავიანთი ორი შვილის დაკარგვის თაობაზე განცხადებით მიმართეს. ადგილობრივმა პოლიციელებმა ბავარიის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებთან ერთად მიაგნეს ბავშვებს.

გაირკვა, რომ 12 წლის ბიჭი მშობლების მანქანით 13 წლის მეგობართან ერთად გაემგზავრა ქალაქ ბამბერგში ნათესავების მოსანახულებლად. ბავშვებმა უსაფრთხოდ გაიარეს 210 კილომეტრი. საბოლოოდ მათ ღამის პაპა-ბებიასთან გათევის უფლება მისცეს.

აღსანიშნავია, რომ გამგზავრების წინ ბავშვმა მშობლები გააფრთხილა თავისი განზრახვის თაობაზე, თუმცა მათ ეს სერიოზულად არ მიუღიათ.

## მამაკაცმა მოხუც ინვალიდს ფული ბიუსტჰალტერიდან ამოაცალა

ნიუ იორკში დააკავეს მამაკაცი, რომელიც ადგილობრივმა მედიამ „ქალაქში ყველაზე საშინელ ადამიანად“ მონათლა. მან ფული 93 წლის ქალბატონს მოჰპარა. დანაშაულის ამსახველი ვიდეოჩანაწერი, რომელიც სათვალთვალო კამერამ გადაიღო, ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

93 წლის მარია ვასკეზი ინვალიდის ეტლით მაღაზიაში ფოსტლების საყიდლად მივიდა. ქალბატონი ვიტრინაში გამოფენილ საქონელს ათვალიერებდა და მათ შესახებ თავის თანმხლებთან მსჯელობდა. როდესაც ის თანმხლებისკენ მიტრიალდა, ქურდმა



მას მეორე მხრიდან მოუარა, ბიუსტჰალტერში ჩადებული ფულიანი კონვერტი ამოაცალა და მიიმალა. დაზარალებული მოვლენების ასეთ განვითარებას არ მოელოდა და ძალიან შეეშინდა. ბოროტმოქმედმა ინვალიდს 600 დოლარი ამოაცალა.

დამნაშავე 26 წლის ბრაიან ლოპეზი ორი დღის შემდეგ მაღაზიიდან სამი კვარტლის მოშორებით დააკავეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ამერიკელმა ტანმოვარჯიშემ ფეხებით ისრის სროლა ისწავლა



ამერიკის პენსილვანიის შტატის მცხოვრებმა ტანმოვარჯიშე გოგონამ გამოაქვეყნა ვიდეო, რომელზეც ასახულია, თუ როგორ ისვრის ის ფეხებით მშვილდ-ისარს.

ვიდეორგოლი გოგონამ სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. ვიდეოჩანაწერში ბელა (მისი სრული სახელი და გვარი უცნობია) ისრებს საჰაერო ბუშტებს ესვრის.

## ბრიტანელი წვერებიანი ქალი მსოფლიო რეკორდსმენი გახდა



ბრიტანეთის ქალაქ სლაუს მცხოვრებმა ქალმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ის ყველაზე ახალგაზრდა წვეროსანი ქალი გახდა. ამ ინფორმაციას გინესის რეკორდების წიგნი ავრცელებს.

24 წლის ჰარნაამ კაური მოდელად მუშაობს. აღსანიშნავია, რომ მისი წვერის სიგრძე 15 სანტიმეტრს აღემატება. გოგონას თქმით, ადრეულ ასაკში ის დაცინვის ობიექტად იყო ქცეული მისი დაავადების გამო და იმისთვის, რათა საკუთარი კომპლექსები დაეძლია, წვერის მოშვება დაიწყო.

როგორც გინესის რეკორდების წიგნის გვერდზეა ნათქვამი, 2016 წლის მარტში კაური პირველი წვერებიანი ქალი გახდა, რომელიც ლონდონის მოდის კვირეულის ფარგლებში პოდიუმზე გამოვიდა.

მოდელმა ასევე გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც ის თავის ჯილდოსთან ერთად პოზირებს, ხოლო მისთვის თანდართულ მინაწერში გოგონა იმედს გამოთქვამს, რომ მისი მაგალითი სხვა ადამიანებზე პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი



1. ქიმიური ელემენტი; 2. წნეხი; 3. ... ლესკო; 4. ამაღლებული ადგილი დედამიწაზე; 5. ქართული გაზეთი; 6. ბ.შოუს პიესა; 7. ჰომეროსის პოემა; 8. ქალაქი ბელგიაში; 9. „ფორსაიტების ...“; 10. მოკლე სადღეგრძელო; 11. ცთომილი; 12. ... კუროსავა; 13. ხეთების ქალღმერთი; 14. დიდი საოკეანო გემი; 15. ასო „რ“-ს სახელწოდება; 16. სუბტროპიკული მცენარე; 17. ქართველი ფეხბურთელი; 18. ... სოიერი; 19. სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 20. სპარსულ-ტაჯიკური ოთხსტრიქონიანი ლექსი; 21. ძღვენი, საჩუქარი; 22. ლათინოამერიკული ცეკვა სიმღერით; 23. სოფელი ყაზბეგის რაიონში; 24. ტყის მსხალი; 25. სახის მიმიკის მოშლა; 26. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი; 27. ძილ-ღვიძილი; 28. ინგლისელთა თავადაზნაურული ტიტული; 29. მწვალებლობა; 30. საზოგადოების რჩეული ნაწილი; 31. მატარებლის სამოძრაო გზა; 32. ცისარტყელის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 33. შესახედაობა; 34. მოკლე ალეგორიული მოთხრობა.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „პიგმალიონი“; 2. კაკაბი; 3. გრდემლი; 4. ბორტი; 5. „სიტროენი“; 6. ტუსკი; 7. ლიმპოპო; 9. „ვიტესი“; 13. „გაყრა“; 17. მასა; 18. „კია“.

**თარაზულად:** 1. პარსეკი; 3. გალები; 8. სინუსი; 10. ბარტერი; 11. ტარტუ; 12. ნიამორი; 14. ფიესტა; 15. ამირანი; 16. ნამყო; 19. „მარიცა“; 20. ჯინჯილა; 21. ყაბახი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ისაკაძე; 2. „ჰაიატი“; 3. ბაკურიანი; 4. პრიზმა; 5. პამპერსი; 7. ვერე; 11. ძილქუში; 13. ქებურია; 15. „ქართუ“; 16. „ფეოლა“; 18. ღვინო; 19. ვეკუა.

**თარაზულად:** 6. საბვეი; 8. ზამბახი; 9. ბაირამი; 10. ანდერძი; 12. „გირჩი“; 14. „ლამარა“; 17. „ნაბელღავი“; 20. ღრუბელი; 21. „მთიელი“; 22. „ნადური“; 23. მასმედია.

## ასტროპროგნოზი

### 12 სექტემბრისთვის



**ვერძი** – დღეს აკრძალულია ყოველგვარი ბიზნესსაქმიანობა, კომერციული გარიგებები. პროფესიულ სფეროში სიძნელეები იჩენს თავს. დღის მეორე ნახევარში საშინაო საქმეები მოაგვარეთ.**კურო** – კარგი დღეა მსხვილი შენაძენებისთვის, საქმიანი მოლაპარაკებებისთვის. პლანეტები გირჩევენ, პარტნიორს ბრმად არ მიენდოთ. **ტყუპები** – წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ ილუზიებს არ აჰყვებით და მიწაზე დაეშვებით. რეალობის გათვალისწინებით იმოქმედეთ. **კირჩხიბი** – აქტიური და შემოქმედებითად დატვირთული დღეა. თქვენი შრომა სასურველ შედეგს გამოიღებს. უცხო ადამიანების რჩევებს არ ენდოთ. **ლომი** – იზრდება სულიერი, შემოქმედებითი და სექსუალური შესაძლებლობები. გეგმები საფუძვლიანად გეცვლებათ. **ქალწული** – უფროსობასთან კონფლიქტი გელით. შესაძლოა, სამსახურსაც კი დაემშვიდობოთ. აუცილებელია, მოვლენები რეალურად შეაფასოთ. **სასწორი** – არაკეთილისმყოფელი დღეა. ელოდეთ პრობლემებს სამსახურში. იოლად ნურავის მიენდობით. **ღრიანკალი** – ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის დღეა. შესაძლოა, ძალზე წარმატებულ ადამიანებთან მოგიწიოთ თანამშრომლობა, თუმცა მთელი თქვენი ნიჭი და უნარი მხოლოდ თავდაუზოგავი შრომის წყალობით გამოვლინდება. **მშვილდოსანი** – თუ აქტიურად დასვენება გადაწყვიტეთ, ნაცნობ-მეგობრებიც აიყოლიეთ. კარგად გაერთობით. წარმატება გელით სიყვარულში. **თხის რქა** – ფასეულობები საფუძვლიანად უნდა გადააფასოთ. ემოციების გამოხატვისგან თავი შეიკავეთ. დღეს ცივი გონებით იმოქმედეთ. **მერწყული** – ნურაფერს დაგეგმავთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. ცოტა დაბნეული ხართ, თუმცა ეს დროებითია. **თევზები** – კრიტიკული დღეა. ნებისმიერი პრობლემის მოგვარება თქვენგან დიდ ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს. წვრილმანებს მეტი ყურადღება მიაქციეთ და გაითვალისწინეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## საქართველომ ალბანეთში გაჭირვებით მოიგო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ჩვენს ნაკრებს ფარქვეშა პოტენციალი შემატა.

თუმცა, სანამ ქართველები თამაშს დაალაგებდნენ, მესამე პერიოდიც გავიდა. ალბანელები ინერციით აგდებდნენ ბურთებს და მესამე პერიოდიც მხოლოდ 5 ქულით დათმეს. ბოლო მეოთხედში კვანძი გაიხსნა. საქართველოს ნაკრებმა საბოლოოდ დაიპყრო ალბანელთა ფარქვეშეთი – შენგელიასა და ზაზა ფაჩულიას შემჩერებელი ალბანელთაგან ვერავინ მოინახა, მაიკლ დიქსონმა კი ჩვენიანთა შეტევებს სისწრაფე შემატა.

ჩვენი ნაკრების კაპიტანი ზაზა ფაჩულია ბოლო პერიოდისა და მთლიანად მატჩის ბომბარდირი გახდა 20 ქულით. მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლი თორნიკე შენგელიამ მიითვალა, რომელმაც 19 წუთში 12 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა. სარგებლიანი იყო გიორგი შერმადინი, რომელიც მაშინ იხვეჭდა ქულებს, როცა საქართველოს ნაკრებს ყველაზე მეტად უჭირდა. შერმადინმა 9-დან 9 საჯარიმო და მთლიანობაში 15 ქულა დააგროვა, 12 ქულით დაასრულა შეხვედრა მაიკლ დიქსონმა.

ჩვენივე ჯგუფში სლოვაკეთი შინ 62:99 დამარცხდა ლიდერ ჩერნოგორიასთან და ცხრილში ადგილები ისვე უცვლელი დარჩა.

სამაგიეროდ, საქართველოს ნაკრებისთვის სასარგებლო შედეგებით დასრულდა მატჩები სხვა ჯგუფებში. ფაქტობრივად, ჩვენი ნაკრები საუკეთესო მეორე ადგილით გავა ევრობასკეტზე.

საქართველოს ნაკრები მომდევნო საკვალიფიკაციო მატჩს 14 აგვისტოს თბილისში სლოვაკეთის ნაკრებთან გამართავს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩერნოგორია | 4 | 4 | 0 | 385:274 | 8 |
| 2.საქართველო | 4 | 3 | 1 | 338:250 | 7 |
| 3.სლოვაკეთი | 4 | 1 | 3 | 259:350 | 5 |
| 4.ალბანეთი | 4 | 0 | 4 | 244:352 | 4 |

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

## მერილინ მონროს კაბა აუქციონზე გაიყიდება




ამერიკელი მსახიობის მერილინ მონროს კაბა, რომელიც მას აშშ-ის პრაზიდენტ ჯონ კენედის დაბადების დღეზე ეცვა და რომელში გამოწყობილმაც ქვეყნის პირველ პირს უმღერა 1962 წლის მაისში, აუქციონზე გაიყიდება. აუქციონი ლოს-ანჯელესში 17 ნოემბერს გაიმართება. ამ ინფორმაციას აუქციონის სახლი ჯულიენს აუქციონს ავრცელებს.

აღნიშნული კაბა დიზაინერმა ჟან ლუიმ შეკვეთით დაამზადა. მონრომ ის ნიუ იორკის მედისონ სკვერ გარდენში გამართულ კენედის 45 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ჩაიცვა. საზეიმო საღამოს დაახლოებით 15 ათასი ადამიანი ესწრებოდა.

აუქციონის სახლს იმედი აქვს, რომ ეს ლოტი მინიმუმ ორ მილიონ დოლარად გაიყიდება. კაბა ჯულიენ აუქციონმა 1999 წელს 1,26 მილიონ დოლარად შეიძინა კრისტის აუქციონზე.

## ცოლზე გაბრაზებულმა კაცმა ბანკის გაძარცვა და ციხეში ჩაჯდომა გადაწყვიტა



ამერიკის კანზასის შტატის მცხოვრებმა ბანკი იმისთვის გაძარცვა, რომ ციხეში მოხვედრილიყო და ამით ცოლთან თანაცხოვრებისთვის თავი დაეღწია.

70 წლის ლოურენს რიპლი საფინანსო დაწესებულებაში იარაღით მივიდა და იქ არსებული მთელი თანხა მოითხოვა. ბანკის მოლარემ მას დაახლოებით სამი ათასი დოლარი გადასცა. ფულის მიღების შემდეგ პენსიონერი ბანკის ვესტიბიულში სავარძელში მოკალათდა და პოლიციის მისვლას დაელოდა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა რიპლი დააკავეს, რომელმაც მათ განუცხადა, რომ ბანკის გასაძარცვად იმისთვის მოვიდა, რომ ციხეში ჩამჯდარიყო. მამაკაცმა აღიარა, რომ თავისი ცოლისგან დაიღალა და ასეთი საშუალებით სურს, მისგან დაისვენოს. მისი თქმით, მან თავისი მეუღლე გააფრთხილა, თუ სად და რისთვის მიდიოდა.

მამაკაცს შეიარაღებული ძარცვის ბრალდება წაუყენეს. ის გირაოთი გაათავისუფლეს. ასე რომ, საქმის სასამართლო მოსმენას თავისუფლებაზე, მეუღლესთან ერთად დაელოდება.

## ბელგიელი მემანქანის პენსიაზე გაშვება მგზავრებს ტერაქტი ეგონათ



ბელგიის ქალაქ ბრიუგეს რკინიგზის სადგურში მგზავრებს მემანქანის პენსიაზე გაცილების ცერემონია ტერაქტი ეგონათ.

9 სექტემბერს ადგილობრივი დროით დაახლოებით 17:00 საათზე კოლეგები საზეიმო ღონისძიების გმირს ბაქანზე ელოდნენ მის ბოლო რეისზე გასაცილებლად. ტრადიციის თანახმად, მათ მის პატივსაცემად რამდენიმე მაშხალა გაუშვეს. ამ ხმებმა იქვე ახლოს მყოფი მგზავრები შეაშინა, რომლებმაც ეს ხმები აფეთქებებად მიიჩნიეს და, პანიკაში ჩავარდნილები, ბაქნიდან გაიქცნენ.

ბელგიის რკინიგზის ეროვნული საზოგადოების წარმომადგენელმა ბარტ კროლსმა მგზავრების ასეთ რეაქციას დღევანდელ პირობებში სრულიად ნორმალური უწოდა და ინციდენტის გამო ბოდიში მოიხადა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სამგლოვიარო განცხადებები



თანაკლასელები და მეგობრები სამძიმარს ვუცხადებთ ნატა ხეთაგურს მეუღლის

**მიტო ღუდუშაურის**

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა 13 სექტემბერს. 14 საათზე;

მის: ყაზბეგი, დაბა სტეფანწმინდა.

---

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი, პროფესორი

**იაკობ (იაშა) მესხია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ნოდარ კვარაცხელია ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს ჩვენი შვილების აღმზრდელის, აფხაზეთიდან ლტოლვილის, სოხუმის მე-11 საშუალო სკოლის პედაგოგის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის

**ცისანა მირცხულავას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს შვილებსა და შვილიშვილებს.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## ინდირა ჯგერნაია ბიჭის დედა გახდა



მომღერალი ინდირა ჯგერნაია, რომელიც ფართო საზოგადოებამ „ჯეოსტარიდან“, „ახალი ხმიდან“ და „ნიჭიერიდან“ გაიცნო, ბიჭის დედა გახდა. მომღერალმა ეს ბედნიერება პირველად განიცადა. მისი პატარა ვაჟკაცი ქუთაისში, მესამე სამშობიაროში დაიბადა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

სასიხარულო ინფორმაცია ახალბედა დედიკომ გაავრცელა:

– დაიბადა ჩემი ბიჭი ანდრია... 54 სმ, 3,700. მადლობა ჩემს ექიმებს ზურაბ უგრეხელიძესა და ნინო დოლონაძეს... ჩემი სიგიჟე გმირულად აიტანეს.

დედა-შვილი სოციალურ ქსელში უამრავ მილოცვასა და საუკეთესო სურვილებს იღებს. როგორც ინდირამ განაცხადა, მისი შვილის ერთ-ერთი ნათლია მომღერალი ანრი ჯოხაძე იქნება.

## ზუგდიდში რეზო ბულიასა და „ჩელას“ ვარსკვლავი გაუხსნეს




ზუგდიდში, ცენტრალურ ბულვარში, ზუგდიდელი ქორეოგრაფისა და ანსამბლ „ჩელას“ დამაარსებლის რეზო ბულიას ვარსკვლავი გაიხსნა.

გახსნის ცერემონია ზუგდიდობის დღესასწაულზე გაიმართა, რომელიც წელს პირველად აღინიშნა.

რეზო ბულია 83 წლის ასაკში, 3 მარტს, რეპეტიციის მიმდინარეობისას ზუგდიდში გარდაიცვალა. იგი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრ „ოდიშის“ ქორეოგრაფ-კონსულტანტად მუშაობდა, იყო ანსამბლ „ჩელას“ დამაარსებელი, რომელსაც გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა.

რეზო ბულია ზუგდიდში დაკრძალეს.

## სოფო გელოვანი პოლიტიკამ დაღალა



მომღერალი სოფო გელოვანი პოლიტიკამ დაღალა. მისი თქმით, ის არავისტია, თუმცა ყველგან, სადაც არ უნდა მიხვიდე, ამ თემასთან დაკავშირებით სერიოზული დაპირისპირებაა.

სოფო გელოვანი:

– მგონი, მარტო ჩვენთან ხდება, განსხვავებული პოლიტიკური აზრის გამო ნათესავები, მეგობრები, ოჯახის წევრები გადაკიდებულები იყვნენ წლობით ან სულაც დაკარგული ჰყავდეთ ერთმანეთი.

ბავშვობიდან მოყოლებული, დღემდე მესმის გაუთავებელი ბრძოლა ზვიადისტების, შევარდნაძისტების, მიშისტებისა და ბიძინისტების... დავიღალე!

ყველგან, სადაც არ უნდა მიხვიდე, მიდის სერიოზული დაპირისპირება ამ თემასთან დაკავშირებით. ოჯახში, მეგობრებში, ნათესავებში, სუფრასთან და კიდევ, სადაც არ უნდა მოხვდეს კაცი.

არავისტები რომ ვიყოთ ერთხელ და სამუდამოდ, როდის შეიძლება?!

## გიგა კვენეტაძე: „სხვების დაცინვას სჯობია, ქართულ ესტრადასა და „შოუბიზნესს“ მივხედოთ“



„ახალ ტალღაზე“ რუსი ვარსკვლავების მიერ შესრულებულმა სიმღერებმა ქართველი მსმენელის გაღიზიანება გამოიწვია და რუსულ ესტრადას უგემოვნო უწოდა. ეს მოსაზრებები გააკრიტიკა რუსეთში მოღვაწე ქართველმა კომპოზიტორმა გიგა კვენეტაძემ და საქართველოს ურჩია, სხვების დაცინვას სჯობია, ქართულ ესტრადასა და შოუბიზნესს მიხედოს.

**გიგა კვენეტაძე:**

– ქართულ ესტრადასა და „შოუბიზნესს“ მივხედოთ, სხვების დაცინვას.

როგორც მოგეხსენებათ, ქართულ ესტრადაზე წლებია, არაფერი ღირებული არ შექმნილა და, სამწუხაროდ, 90% ქართველი შემსრულებლებისა და კომპოზიტორების მიერ ტაშ-ფანდურის გარდა, არაფერი დაწერილა და ჩაწერილა, ასე რომ! კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ ამ უდიდეს პრობლემაზე.

## „დღე, როცა ვერ მოჰკლეს ილია“




12 სექტემბერი ქართველი მწერლისა და პოეტის, საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღეა. ამ დღეს უკვე მეორე წელია, „ეროვნული იმპერატივი“ ახორციელებს პროექტს „დღე, როცა ვერ მოჰკლეს ილია“.

წელს პროექტის ფარგლებში დაგეგმილ ყველა ღონისძიებაზე დასასწრებად ორგანიზატორებს ჩამოჰყავთ კოდის, ფრეზეთისა და წილკნის დევნილთა დასახლებებიდან 50-50 მოზარდი, რომლებიც შეძლებენ, უკეთ გაეცნონ ილია ჭავჭავაძის პიროვნებას, მისი მოღვაწეობის მნიშვნელობას და ნახონ მრავალი მათთვის ახალი მხატვრულ-თეატრალიზებული დადგმა და ლიტერატურული კომპოზიცია, მოუსმინონ ცნობილ პოეტებს, ისტორიკოსებსა და მსახიობებს.

ამ 150 მოზარდისთვის, რომლებიც მათი სოციალური, გეოგრაფიული თუ სხვა ობიექტური მიზეზების გამო მნიშვნელოვანწილად მოკლებულნი არიან კულტურულ-შემეცნებით აქტივობებს, ყურადღებისა და მზრუნველობის ჟესტის გარდა, მრავალი ახლის გაგებისა და შეცნობის საწინდარიც იქნება, რაც მათი განვითარებისთვის გადადგმული ერთ-ერთი მოკრძალებული, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

პროექტი „დღე, როცა ვერ მოჰკლეს ილია“ სიონის ტაძრის ეზოდან დაიწყება. ღონისძიებები ასევე დაგეგმილია მთაწმინდის პანთეონში და საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ღონისძიებებზე დასწრება კი ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

## იტალიაში ნანგრევებიდან კატა ამოიყვანეს



იტალიის ქალაქ ამატრიჩეში მიწისძვრიდან მე-16 დღეს სამძებრო-სამაშველო სამუშაოების დროს ნანგრევებში აღმოაჩინეს ცოცხლად გადარჩენილი კატა.

იტალიის ეროვნული სახანძრო სამსახურის თანამშრომლებმა სახლის ნანგრევებიდან ამოიყვანეს ცხოველი, რომელმაც ორ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში დაჰყო ნანგრევებში სუფთა ჰაერის, საკვებისა და წყლის გარეშე. აღსანიშნავია, რომ მაშველებს მისი კნავილი შემოესმათ. კატა, სახელად პიეტრო, ერთ-ერთ ადგილობრივ ვეტერინარულ საავადმყოფოში კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი მიიყვანეს. გადარჩება თუ არა ცხოველი, ჯერჯერობით უცნობია.

იტალიელი მაშველები სამძებრო სამუშაოებს აგრძელებენ ამატრიჩეში, აკუმოლიში, პესკარა-დელ-ტრონტოსა და არკუატა-დელ-ტრონტოში, თუმცა მათი თქმით, ნანგრევებში ცოცხლად გადარჩენილთა პოვნის შანსი პრაქტიკულად აღარ დარჩა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პროგრამა

**ორშაბათი 12 სექტემბერი**

**07.00** დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. უცხოპლანეტელთა შემოსევა - ვართ თუ არა მზად" **08.00** ან/სერ "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** ზღაპარი. "და-ძმა" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **10.10** ტ/სერ. "**წინ წარმატებისკენ**" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **12.20** მხ/ფ "**მილიონ გირვანქიანი ბანკნოტი**" **14.10** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **14.50** დოკ/სერ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **15.35** "ეკიპაჟი" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. უჯრედში მოგზაურობა" **20.00** მოამბის სტუმარი **21.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **22.30** მხ/ფ "**დევნა შუაღამემდე**" **00.50** მხ/ფ "**სწრაფები და შმაგები**" **02.50** მხ/ფ "**ბიჭები**"

**08.00** დ/ფ "დრაკონების მუზეუმი" **09.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **10.00** მინი/სერ "**ოპერაცია "მფრინავი"**" **12.00** ტ/სერ "**ცოდვა და სირცხვილი**" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00, 20.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "კატასტროფა ანდებში" **18.00, 21.00** "არჩევნები **2016**" **20.00** "მოამბე" **22.00, 01.00** ტ/სერ "**ზღვარს მიღმა**" **23.00** "მოამბე" (5 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**05.30** სერ. "**ბამბის ველი**" **06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" 6 სერ. **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" 6 სერ. **22.00** ღია ეთერი-თოქ შოუ **00.00** მხ/ფ "**ოპერაცია დელტა**" **02.30** მხ/ფ "**ხელშეუხებელნი**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუადღე" **13.55** სერ. "**დედოფლის სევდა**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.50, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** არჩევანი - **2016 00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **12.00** შეხვედრები რეგიონულ მედიასთან **13.30** სერ. "**ძვლები**" **14.30** ცოლები და ქმრები **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **23.30** სერ. "**ჰეროკრატია**" **0.30** მხ/ფ "**ჯოჯოხეთიდან**" **2.50** სერ. "**ძვლები**"

**06.15** ივერიის ეკლესია "საქართველოს ეკლესიის საზღვრები" **06.35** პატერიკი-როგორ მოვაგროვოთ ჭეშმარიტი სიმდიდრე **06.45** ქართული ალბომი-"ნოდარ კიკნაძე" **07.20** ჩვენი საგანძური "ლარგვისის ოთხთავი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ვინ შეკაზმავს ცხენს**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** ერთი წვეთი **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** ერთხელ ბავშვობაში **16.00** დ/ფ "ველური ბუნება" **17.00** სპექტაკლი "**მტრედის მოტანილი ბარათები**" II **17.25** საყმაწვილო ენციკლოპედია **18.05** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 01.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" 1 სერ. **20.40** ძილი ნებისა "კოიოტი", "აბა დამაცადე" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პატერიკი-ცრუ ხილვებით ეშმაკები ერთობიან **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.25** საქართველოს სამართლის ისტორია **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები-იერემია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ქვიშანი დარჩებიან **00.25** "ტალანტები და თაყვანისმცემლები" სანდრო ვახტანგოვი **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ტატიანა**" **10.05, 0.00** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **11.05** სერ. "**ვერონიკა**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.35** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ცხოვრება რომელიც არ ყოფილა**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.00** "ღამის კონტაქტი" **22.30** სერ. "**ესკობარი**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**12 სექტემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.3117 | ევრო — 2.6046 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0755 | 100 რუსული რუბლი — 3.5900 |

## ამინდის პროგნოზი 12 სექტემბრისთვის





**6 სექტემბრიდან**

ანდრეი ბელი

**პეტერბურგი**



**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**



მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.





**8 სექტემბრიდან**



ანა პოლიტკოვსკაია

**პუტინის რუსეთი**

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**



**9 სექტემბრიდან**



ლევან ბრეგაძე

**ყოფითი რწმენა-წარმოდგენები**

ამ წიგნში თავმოყრილია საქართველოში წინათ და ნაწილობრივ ამჟამადაც გავრცელებული ხალხური ყოფითი რწმენა-წარმოდგენების ნიმუშები. მაგალითად: თუ ხანგრძლივად გასლოკინებთ, ვიღაც თქვენს ძვირს ამბობს, ვინც ქალაქში პირველად ჩადის, კენჭი უნდა ჩაყლაპოს, რომ ქალაქმა არ დასცადოს, თუ მეზობელს ორშაბათს ფულს ასესხებ, იმ კვირაში სულ ფულის გაცემა მოგიწევს და სხვ. ეს ნიმუშები შეკრებილია ძველი და თანამედროვე ავტორების, მკვლევარ-შემგროვებლების ნაშრომებიდან, აგრეთვე შემდგენლის პირადი კოლექციიდან, კომენტარებით, შენიშვნებით, უცხოური პარალელებითა და ციტატებით.

**ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი**



**13 სექტემბრიდან**

**პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**

ვიქტორ ჰიუგო



**მთელი რომანი ერთ წიგნში!**

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**


## იუმორი



•••

ერთი ნარკომანი მეორეს ეუბნება:

– გაიგე, ტო, გუშინ ნიკუშა ჩაუცხრილავთ!

– აუ, ჩემი, როგორ არის, ტო?

– ექიმმა თქვა, იცოცხლებსო, რა.

– მართლა, ტო?

– ჰო, რა, თავში რვა ტყვია მოარტყეს, მაგრამ ტვინს არ შეხებია, ტო.

•••

რუსი ავტოინსპექტორი მანქანას აჩერებს და მძღოლს ეკითხება:

– მართვის მოწმობა გაქვს?

– მაქვს.

– ტექნიკური შემოწმება გავლილი გაქვს?

– მაქვს.

– მანქანაში აფთიაქი გაქვს?

– მაქვს.

– ცეცხლმქრობი გაქვს?

– მაქვს.

– მაგნიტოლა გაქვს?

– მაქვს.

– ჩართე.

მძღოლმა ჩართო და მუსიკის ხმა გაისმა. ინსპექტორმა მანქანის გარშემო ცეკვა დაიწყო და გაკვირვებულ მძღოლს მიაძახა:

– რას მიყურებ? ვერ ხედავ, შენთვის ვცეკვავ! ფული მომეცი!!!

•••

ზოოპარკში მყოფი ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რატომ აქვს გორილას ასეთი დიდი ცხვირის ნესტოები?

– ვერ ხედავ, რამხელა თითები აქვს?!

•••

ფერმერმა ბებერი ხარის სანაცვლოდ ახალგაზრდა ხარი მოიყვანა, თუმცა ბებერიც დაიტოვა, დასაკლავად შეეცოდა.

ახალგაზრდა ხარი მაშინვე შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. ბებერმა უყურა, უყურა, ნესტოები დაბერა და ჩლიქებით მიწის ფხოჭნა დაიწყო. ეს რომ ფერმერმა შენიშნა, მივიდა და ეუბნება:

– მეგობარო, მე და შენ უკვე ბებრები ვართ, ამ საქმისთვის აღარ გამოვდგებით, ისღა დაგვრჩენია, მზეს მივეფიცხოთ და ძვლები გავითბოთ.

– ვიცი, ვიცი, ეს ისე, ყოველი შემთხვევისთვის, ძროხებში რომ არ ავერიო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# საქართველომ ალბანეთში გაჭირვებით მოიგო

**ალბანეთი-საქართველო 64:84**
**(19:20, 17:16, 15:20, 13:28)**



საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ტირანაში დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა. ილიას ზუროსის გუნდმა ქართველი გულშემატკივარი გვარიანად ანერვიულა, მაგრამ საბოლოოდ 2 ქულა დამაჯერებლად მოიპოვა და მასპინძლებს 20 ქულით აჯობა.

ქართველებმა პირველ მატჩში ალბანეთს თბილისში 39 ქულით სძლიეს და ტირანაშიც იოლი გამარჯვების მოლოდინში ვიყავით, მაგრამ მასპინძლებმა პირველ ტაიმში საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინეს, ქართველებმა კი დაუღლაგებლად და უმოტივაციოდ ითამაშეს. ალბანელთა ხისტი თამაშის წინააღმდეგ ჩვენს გუნდს კომბინაციების გათამაშება არ გამოსდიოდა, შეტევაში კი ზომაზე მეტ ბურთს ვკარგავდით და მასპინძლებს გვერდში ყოფნის საშუალებას ვაძლევდით.

ქართველების შეცდომების ფონზე ალბანელებს სროლებიც წაუვიდათ და ისეთი ფონი შეიქმნა, რომ მოედანზე თანაბარი ძალის გუნდები თამაშობდნენ. ეს ასე რომ არ იყო, მალე გამოჩნდა. მეორე ტაიმში მოედანზე პირველად გამოვიდა თორნიკე შენგელია, რომელიც განაცხადში კი იყო, მაგრამ მწვრთნელებმა მას დასვენების საშუალება მისცეს. თორნიკეს დახმარება საქართველოს ნაკრებს ფრედ დასრულებული პირველი ნახევრის შემდეგ დასჭირდა და მანაც მოედანზე გამოსვლით თამაშს სისწრაფე და

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ნიუ იორკის მოდის კვირეული სახედამწვარმა მოდელმა გახსნა

გოგირდმჟავით სახედამწვარმა ინდოელმა მოდელმა ნიუ იორკში დაწყებული მოდის კვირეული გახსნა.

19 წლის რეშმა კურეშმა წარმოადგინა ჩასაცმელი, რომელიც მისმა თანამემამულემ, დიზაინერმა არჩანა კოჩხარმა შექმნა. „ღირსების დანაშაულის" მსხვერპლმა სხვადასხვა ქვეყანაში იაფი და ადვილად ხელმისაწვდომი მჟავების გაყიდვის დარეგულირების საკითხისთვის ყურადღების მისაპყრობად გახსნა დეფილე.

– ჩემს ყველაზე თამამ ოცნებებშიც კი ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთ ჩვენებაში მივიღებდი მონაწილეობას. ჩემისთანა გოგონა ბევრია და მინდა, ისინი საკუთარი მაგალითით გავამხნევო, – განაცხადა კურეშმა.



მოდელზე თავდასხმა ორი წლის წინ მოხდა. ბოროტმოქმედების ძირითად სამიზნეს კურეშის და წარმოადგენდა, რომელიც მეუღლეს ოჯახური ძალადობის გამო დაშორდა. გოგონებს ქუჩაში განაწყენებული მეუღლე და კიდევ ორი მამაკაცი ჩაუსაფრდა. როდესაც რეშმამ დის დაცვა ცადა, მამაკაცებმა მჟავა ორივეს შეასხეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. აბი; 3. მლაშე კრისტალური ნივთიერება; 8. ამა თუ იმ ხელობის ადამიანთა გაერთიანება; 10. სავანის ტიპი მდ.ორინოკოს ვაკეზე; 11. მოჩუქურთმებული ქვა ან ნიჟარა; 12. ს.თაყაიშვილის კინოროლი; 14. სითხის ან გაზის რაოდენობა დროის ერთეულში; 15. პირველობა; 16. ქანის მოყვითალო დანალექი; 19. უთითებო ხელთათმანი; 20. მუსიკალური საკრავი სპილენძის თეფშები ძვ.; 21. ორგანოლა.

**შვეულად:** 1. ოთხტერფიანი ლექსი; 2. წაგრძელებულტუჩიანი ცხოველი; 3. ლორდის ხსენება ინგლისში; 4. ლუპა; 5. რვიანის ფორმის ფუნთუშა; 6. ზღაპრული გრძნეული ქალი; 7. ხეობაზე ხიდისებური ნაგებობა; 9. ჩრდილო ამერიკის ზომიერი კლიმატური სარტყლის ველები; 13. გაზაფხულის თვე; 17. პარკოსანი მცენარე; 18. გამოქვაბული კლდეში.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**

